

# Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ჟურნალი ბალეტში

№1/2 (31/32)'22




# Arabesque

No 1/2 (31/32) 2022

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის



გამართა ფალიაშვილის სახელობის თბილისის თეატრისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სახელმწიფო დასის შტაბი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მისურაძე  
 ბადრი მისურაძე  
 Artistic Director of the Theatre  
 BADRI MAYSURADZE

ბალეტის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი  
 ნინო ანანიაშვილი  
 Director of the Ballet Company  
 NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი ილია თავბერიძე  
 Editor-in-Chief  
 ILIA TAVBERIDZE

ინგლისურად ტექსტების თარგმანი ნატო კირვალიძე  
 Texts translated into English by  
 NATO KIRVALIDZE

ინგლისური ტექსტების რედაქტორი ორსოლია საროსი  
 Editor of the English language content  
 ORSOLYA SAROSSY

დიზაინი ბესიკ დანელიასი  
 Design by  
 BESIK DANELIA

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, ხატია ჯიჯეიშვილის, თეიმურაზ პულუაშვილის, მერაბ ნიკოლაიშვილის და საბალეტო დასის მსახიობთა პირადი არქივის ფოტოები

This issue features photographs by Lado Vachnadze, Khatia Jijeishvili, Teimuraz Puluzashvili, Merab Nikolaishvili as well as photos from personal archives of actors of the Ballet Company

გარეკანზე: ოთელი – ამილკარ მორეტ გონსალესი

On the cover: Othello – Amilcar Moret Gonzalez

გარეკანის მეოთხე გვერდზე: ოთელი – ფერნანდო მონტანო

On the 4<sup>th</sup> page of the cover: Othello – Fernando Montano

ხატია ჯიჯეიშვილის ფოტოები Photo by Khatia Jijeishvili

დაიბეჭდა „ფაუნტეინ ჯორჯიაში“  
 Printed by "Fountain Georgia" Ltd



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით

გამოცემა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით  
 Edited by support of Ministry of Culture, Sport and Youth of Georgia

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25

25, RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ./TEL: +995 32 235 75 03

ფონი: 300

UDC (უპკ) 792.8  
 A-70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

2020 წლის 19 მარტს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე იური პოსოხოვის თანამედროვე ბალეტის „მედეას“ გენერალური რეპეტიცია გაიმართა. თეატრში ამას სპექტაკლის ჩაბარებას ეძახიან. მეორე დღეს პრემიერა დანიშნული და ახალ დადგმას მყურებელი აფასებს. ამჯერად ასე არ მოხდა. რეპეტიციის დროს თეატრში ყველამ გაიგო, რომ კოვიდ პანდემიის გამო, მთავრობის გადაწყვეტილებით ქვეყანაში შეზღუდვები დაწესდა. თეატრში მუშაობა შეჩერდა.

„მედეას“ პრემიერა წელიწადნახევრის შემდეგ გაიმართა, რომლის შესახებ დღევანდელ ნომერში ბალეტის მკვლევრის ხათუნა მზარელიას რეცენზიას წაიკითხავთ.

„მედეა“ ერთადერთი პრემიერა არ იყო, რომლის გადატანა მოუხდა საბალეტო დასს. პანდემიის გამო ვერც ჯორჯ ბალანჩინის საღამო გაიმართა დანიშნულ დროს და ორმოქმედებიანი ბალეტის „პინოკიოს“ პრემიერა 2021 წლის ბოლოსთვის გადაიდო.

პანდემიის შემდეგ კი, 170-ე საიუბილეო, თეატრალური სეზონი პრემიერებით დატვირთული იყო. გაიმართა ოთხი მნიშვნელოვანი პრემიერა, რომელთა შორის ისტორიული შეიძლება ვუწოდოთ ალექსი მაჭავარიანის ბალეტის „ოთელი“ აღდგენას, რომლის ქორეოგრაფია ვახტანგ ჭაბუკიანს ეკუთვნის. პრემიერიდან 65 წლის შემდეგ „ოთელი“ კვლავ დაუბრუნდა სცენას.

წინამდებარე ნომერი განვლილი რთული პერიოდის ამ და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ მოგითხრობთ.

საშწლიანი შესვენების შემდეგ „არაბესკი“ გიბრუნდებათ!

On March 19, 2020, the dress rehearsal of Yuri Possokhov's modern ballet *Medea* took place on the stage of the Tbilisi Opera and Ballet Theatre. In the theatre, this is called “handing over” a performance. The premiere is scheduled for the next day, and the audience assesses the new production. But this time it didn't happen like this. During the rehearsal, everyone in the theatre heard that because of the Covid pandemic, restrictions were introduced in the country by the decision of the government. The work in the theatre stopped.

The premiere of *Medea* took place a year and a half later. You can read in today's issue its review by ballet researcher Khatuna Mzarelua.

*Medea* was not the only premiere that the Ballet Company had to postpone. Due to the pandemic, the Evening of George Balanchine's Choreography could not be held as scheduled either. The premiere of *Pinocchio*, a ballet in two acts was postponed too until the end of 2021.

But, in the post-pandemic period, the 170<sup>th</sup>-anniversary season was loaded with premieres. Four important premieres were held, among them the revived version of Alexi Matchavariani's ballet *Othello*, the choreography of which belongs to Vakhtang Chabukiani and which can be called historical. *Othello* returned to the stage sixty-five years after its original premiere.

The present issue of the magazine will tell you about these and other significant events of the past difficult period.

After a three-year hiatus, *Arabesque* is back!



პრემიერა · PREMIERE

04 სპექტაკლი – მემორიალი  
Performance – Tribute

ილია თავბერიძე  
ILIA TAVBERIDZE

ინტერვიუ · INTERVIEW

16 ნინო ანანიაშვილი:  
„თეატრი მუზეუმი ვერ იქნება,  
მაგრამ ბევრი რამ უნდა  
შევინარჩუნოთ“

Nina Ananiashvili:  
"The theatre cannot be a  
museum, but we have to preserve  
many things"

21 BALLET NEWS

პრემიერა · PREMIERE

22 „ამაო სიფრთხილე“  
*La Fille mal gardée*

პრემიერა · PREMIERE

24 ბურნონვილის ბალეტის  
განახლებული ვერსია  
Updated Version of  
Bournonville's Ballet

პრემიერა · PREMIERE

27 „მაკნატუნა“ ქართული  
აქცენტებით  
Nutcracker with Georgian accents

32 პანდემია და ბალეტი  
Pandemic and Ballet

35 სოლიდარობა უკრაინას!  
Solidarity to Ukraine!

პრემიერა · PREMIERE

36 პინოკიო  
*Pinocchio*

38 სახელმწიფო საბალეტო დასის  
მიერ გაცოცხლებული პინოკიოს  
მაგია  
The Magic of Pinocchio Brought  
to Life by the State Ballet

კეით რუთ დევისი  
KATIE RUTH DAVIES

პრემიერა · PREMIERE

44 მარადიული მედეა  
Eternal Medea

ხათუნა მზარელუა  
KHATUNA MZARELUA

დაშვიდობება სცენასთან · FAREWELL TO THE STAGE

49 ლალი კანდელაკის ბოლო  
გამოსვლა „დონ კიხოტში“  
Lali Kandelaki's final performance  
in *Don Quixote*

ფილმი · MOVIE

51 საქართველოს სახელმწიფო  
ბალეტი დღეს  
The State Ballet of Georgia Today  
მართლოს შარაშენიძე  
KARTLOS SHARASHENIDZE

ფოტოგალერია · PHOTO GALLERY

54 მიხაილ ბარიშნიკოვი თბილისში  
Mikhail Baryshnikov in Tbilisi

55 BALLET NEWS

56 გასტროლები Tours



# სპექტაკლი – PERFORMANCE – TRIBUTE მემორიალი

ილია თავზერიძე  
ILIA TAVBERIDZE

13 / 05 / 2022

1929 წელს, ქუთაისში კოტე მარჯანიშვილმა „ურიელ აკოსტა“ დადგა. მას შემდეგ სპექტაკლი სამჯერ აღადგინეს მარჯანიშვილის თეატრში. ქართული თეატრის ისტორიაში ასეთი რამ იშვიათად მომხდარა, „ურიელ აკოსტა“ თითქმის საუკუნე ცოცხლობდა სცენაზე. პრემიერიდან 65 წლის შემდეგ ვახტანგ ჭაბუკიანის ისტორიული „ოტელო“ აღდგენა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, სწორედ „ურიელ აკოსტას“ სცენიურ ისტორიას შეიძლება შევადაროთ.

ისტორიულ სპექტაკლებთან მიბრუნება პატივისცემის გამოხატვაა როგორც მათი

შემქმნელების, ისე მასში მონაწილე მსახიობების, იმ კულტურული მემკვიდრეობის თუ ეპოქის მიმართ, რომლის წიაღშიც დაიბადა სპექტაკლი.

ამიტომაც, „ოტელო“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ერთგვარი სპექტაკლი-მემორიალია. მის აღდგენას შიშნარევი სიფრთხილე ახლდა. დადგმიდან ექვსი

ოთელი – ამილკარ მორეი მონსალესი,  
დეზდემონა – ეკატერინე სურმავა  
OTHELLO – AMILCAR MORET GONZALEZ,  
DESDEMONA – EKATERINE SURMAVA

ათეული წლის შემდეგ  
სპექტაკლი დიდი გა-  
მოწვევის წინაშე დადგა.  
იგი ვერ გაიმეორებდა  
ორიგინალს, თუნდაც  
იმის გამო, რომ მუსტად  
არავის ახსოვდა ბალე-  
ტის ქორეოგრაფიული  
ტექსტი.

1957 წელს სპექტაკლი  
ოთხ მოქმედებად და 13  
სურათად დაიდგა. უცნო-  
ბია რამდენი წელი იცოც-  
ხლა „ოთელი“ სცენაზე.  
ამბობენ, რომ ათი სეზონი.  
რაც დანამდვილებით  
შეიძლება ითქვას ეს

In 1929, Kote Marjanishvili  
staged *Uriel Acosta* in Ku-  
taisi. Since then, the play  
has been renewed three  
times at the Marjanishvili  
Theatre. One would rarely  
witness such a thing in the  
history of Georgian Thea-  
tre but *Uriel Acosta* lived  
on the stage for almost  
a century. The revival of  
Vakhtang Chabukiani's  
historical *Othello* on  
the stage of the Tbilisi  
Opera and Ballet Theatre  
sixty-five years after its  
premiere can only be  
compared to the staging  
history of *Uriel Acosta*.

Going back to historical  
performances is an ex-  
pression of respect to both  
the creators of the per-  
formance and the artists  
participating in it, as well  
as to the cultural heritage  
or the era in which both  
performances were born.

Thus, *Othello* on the stage  
of the Tbilisi Opera and  
Ballet Theatre is a kind of

პერიოდი „ოტელოსათვის“ უდიდესი აღიარებითა და წარმატებით იყო აღსავსე. პრემიერის შემდეგ თბილისში, ყველგან ჭაბუკიანზე და მისი გენიალურ შესრულებებზე საუბრობდნენ. გადმოცემით ცნობილია, რომ სპექტაკლის დღეებში თბილისის ოპერის თეატრს მოზღვავებული მაყურებლისგან ცხენოსანი პოლიცია იცავდა. „ოტელო“ წარმოდგენილი იქნა მოსკოვის „ბოლშოი“ თეატრის სცენაზე. ვახტანგ ჭაბუკიანმა მიიღო სსრკ ყველაზე მაღალი აღიარება – ლენინური პრემია.

ბალეტის წარმატებაზე დიდი გავლენა იქონია „ოტელოზე“ კინო-ფილმის გადაღებამ. აკაკი ბაქრაძე ფილმის პრემიერის

შემდეგ წერდა: „კინოენის გულუხვი გამოყენებით ჭაბუკიანმა ერთგვარი საფუძველი დაუდო ახალ კინემატოგრაფიულ ჟანრს – ფილმ-ბალეტს. მისი განვითარება და სრულყოფა ქართული ბალეტის ოსტატობის საპატიო საქმეა.“ „ოტელო“ ამ მხრივაც გამორჩეული გამოდგა.

ბალეტის აღდგენა სწორედ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ 1960 წელს გადაღებულ ფილმ-ბალეტს დაეფუძნა. საბედნიეროდ, სწორედ მან შემოგვინახა ვახტანგ ჭაბუკიანის, ვერა წიგნაძის და ბურაბ კიკალეიშვილის უნიკალური შესრულება, კორდებალეტის სახასიათო ცეკვები და მასიური სცენები.

tribute performance. Its revival was approached by great care mixed with a certain degree of fear. Six decades after its production, the performance faced a major challenge. The original could not be repeated, if only due to the fact that no one exactly remembered the choreographic text of the ballet.

In 1957, the performance was staged in four acts and 13 scenes. It is not known how many years *Othello* stayed on the stage. They say ten seasons. What we can say with certainty is that this period was full of great recognition and success for *Othello*. After its premiere in Tbilisi, they talked about Chabukiani and his brilliant play

everywhere. During the days of the performance, the mounted police guarded the Tbilisi Opera House against crowds of audience. *Othello* was presented at the stage of the Moscow Bolshoi Theatre. Vakhtang Chabukiani received the highest recognition of the USSR – the Lenin Prize.

The making of a film version of *Othello* greatly contributed to the success of the ballet. After the premiere of the film, Akaki Bakradze wrote: “Thanks to the generous use of film language, Chabukiani laid a kind of foundation for a new cinematic genre – film ballet. Its development and improvement is an honourable cause of the Georgian ballet mas-



ემილია – ნინო სამადაშვილი, იაგო – ეფე ბურაკი  
EMILIA – NINO SAMADASHVILI, IAGO – EFE BURAK

tery.” *Othello* proved to be outstanding in this respect as well.

The restoration of the ballet was based on the film ballet made in 1960 at the Georgian Film Studio. Luckily, it was this film that showed us the unique performance of Vakhtang Chabukiani, Vera Tsig-nadze and Zurab Kika-leishvili, the characteristic dances of the corps de ballet and mass scenes.

Nina Ananiashvili understood from the very beginning that it was a difficult task to renew a performance with such a history. The idea of restoration has been around at the theatre for several years, and, as she says herself, the arguments of Maestro Vakhtang Matchavariani played a big role in making the decision. Vakhtang is the conductor of the performance. He prepared the score of his father, composer Alexi Matchavariani, for the performance.

There are still people among us who have seen the performance of Chabukiani, who have seen the incomparable dancing and acting skills of the legendary trio. Hence, despite the high technical and acting skills of the new performers, it is difficult to offer the audience the production with new dancers. They, of course, cannot be like the legendary Georgian dancers. Maybe they

თბილისი – ამილკარ მორეტი გონსალესი  
OTHELLO – AMILCAR MORET GONZALEZ





ოთელი –  
 ამილკარ მორეთი  
 მონსალესი,  
 იაგო –  
 ეფე ბურაკი  
 OTHELLO –  
 AMILCAR MORET  
 GONZALEZ,  
 IAGO –  
 EFE BURAK



ასეთი ბიოგრაფიისა და ისტორიის სპექტაკლის აღდგენა, რომ რთული საქმეა თავიდანვე გაიაზრა ნინო ანანიაშვილიმა. აღდგენის იდეა თეატრში რამდენიმე წელი ტრიალებდა და როგორც თავად ამბობს, დადგმის გადაწყვეტილების მიღების დროს დიდი როლი ითამაშა მანქანის ვახტანგ მაჭავარიანის არგუმენტებმა. ბატონი ვახტანგი სპექტაკლის დამდგმელი ღირიჟორია, რომელმაც მამის – კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის პარტიტურა ახალი დადგმისთვის მოამზადა.

დღემდე ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, ვისაც უნახავთ ჭაბუკიანის

სპექტაკლი, უნახავთ ლეგენდარული სამეულის შეუდარებელი ცეკვა და სამსახიობო ოსტატობა. ამიტომ, ახალ შემსრულებლებში თავმოყრილი მაღალი ტექნიკური და სამსახიობო შესაძლებლობების მიუხედავად, ისინი რა თქმა უნდა ვერ იქნებიან ლეგენდარული ქართველი მოცეკვავეების მსგავსნი. ალბათ არც უნდა იყვნენ. ჭაბუკიანის, წიგნაძის და კიკალეიშვილის განმეორება შეუძლებელია. და ამოცანა არა მათი განმეორება, არამედ – ახალი, ორგინალური სახეების შექმნა უნდა იყოს. ეს იქნება მათი ხსოვნის უკვდავყოფა. როგორც კი ეს შინაგანი წინააღმდეგობა დაძლეული იქნა,

shouldn't be. It is impossible to repeat Chabukiani, Tsignadze and Kikaleishvili. And the task should not be to repeat them, but to create new, original faces. This will commemorate them. As soon as we overcame this internal resistance, we started large-scale stage works.

Working in the shadow of Vakhtang Chabukiani was not the only challenge of this performance. Stage designer David Popiashvili faced his own riddle – to reconstruct the set design of the outstanding theatre artist Soliko Virsaladze. And he did that by studying Soliko Virsaladze's several miraculously survived sketches and

the film. What he could not find either on the tape or in the sketches, he created himself. This is a large-scaled performance, based on ten monumental scenes, a quick change of scenes, where even the whole adventure of Othello is told with the help of video projections.

The stills in the film-ballet, of course, change in many ways. The camera switches from a general view to close-ups. This makes it impossible to accurately perceive the choreographic movements and requires adopting logical decisions. And this was done excellently by Lali Kandelaki, Coaching Ballet Master of the Com-

დაიწყო დადგმის მასშტაბური სამუშაოები.

მხოლოდ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელის ჩრდილქვეშ მუშაობა არ იყო ამ დადგმის ერთადერთი გამოწვევა. ასეთი თავსატეხის წინაშე იდგა დამდგმელი მხატვარი დავით პოპიაშვილი, რომელმაც სოლიკო ვირსალაძის ალალბედზე გადარჩენილ რამდენიმე ესკიზსა და ფილმზე დაკვირვებით აღადგინა გამორჩეული თეატრალური მხატვრის სცენოგრაფია. ხოლო ის რაც არც ფირს შემორჩა და არც ესკიზს, მხატვარმა თავად შექმნა. მასშტაბურია ათი მუნუმენტური სურათისგან შექმნილი სპექტაკლი, სცენების სწრაფი მიმოცვლა, სა-

დაც ვიდეოპროექციების გამოყენებით ოტელოს მთელი თავგადასავალიც კია მოთხრობილი.

ფილმ-ბალეტში კადრები, რასაკვირველია, ბევრნაირად იცვლება. კამერა საერთო ხედიდან საშუალოზე გადადის. ეს ქორეოგრაფიულ მოძრაობათა ზუსტ აღქმას შეუძლებელს ხდის და ლოგიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვს, რასაც კარგად გაართვა თავი დასის პედაგოგ-რეჟეტიტორმა ლალი კანდელაკმა. სწორედ მან იმუშავა „ოტელოს“ ქორეოგრაფიაზე საბალეტო დასთან.

და მაინც, მთავარი ინტრიგა, თუ ვინ შეას-

pany. And it was Lali who worked with the Ballet Company on the choreography of *Othello*.

But the main challenge, as to who would play Othello, was not yet resolved.

Several versions were outlined. One of them from the very beginning was Amilcar Moret Gonzalez, a world famous ballet dancer from Cuba, who started rehearsing in Tbilisi in February. At the same time, Fernando Montano another performer worked on the role of Othello. Both dancers accepted this proposal with interest and enthusiams. Amilcar Moret works in choreography too and has directed his own version

of *Othello*. He also danced John Neumeier's *Othello*. “When I saw the film, I got excited, I called Nina Ananiashvili and said that I was ready to accept her offer,” Amilcar said before the premiere. The style of the two performers of Othello is completely different from each other, but interesting and attractive. Of course, the presence of Chabukiani's tape made their task easier. But, on the other hand, it increased the level of responsibility of the performers. Chabukiani staged this ballet for himself. Amilcar Moret and Fernando Montano showed how to make a part so interesting that both dance and acting skills are noticed. They



ოთელო – ფირანდო მონტანო,  
დეზდემონა – რუიკა იოკოიამა  
OTHELLO – FERNANDO MONTANO,  
DEZDEMONA – RUIKA YOKOYAMA



რულებდა ოტელოს ბოლომდე იწვევდა ყველაზე მძაფრ ინტრესს.

რამდენიმე ვერსია გამოიკვეთა. მათ შორის ერთ-ერთი თავიდანვე იყო ამილკარ მორეტ გონსალესი, მსოფლიო ბალეტის ცნობილი მოცეკვავე კუბიდან, რომელმაც თბილისში რეპეტიციები თებერვალში დაიწყო. პარალელურად, ოტელოს როლის კიდევ ერთი შემსრულებელი კოლუმბიელი ფერნანდო მონტანო მუშაობდა პარტიზაზე. ორივე მოცეკვავემ ეს შემოთავაზება ინტერესით მიიღო. ამილკარ მორეთი ქორეოგრაფიაშიც მუშაობს და „ოტელოს“ საკუთარი ვერსიაც აქვს დადგმული. მას ჯონ ნოიმაიერის „ოტელოც“

უცეკვია. „როცა ფილმი ვნახე აღფრთოვანდი, დავურეკე ნინო ანანიშვილს და ვაცნობე, რომ მზად ვიყავი მისი შეთავაზება მიმელო“ – თქვა ამილკარმა პრემიერის წინ. ოტელოს ორივე შემსრულებლის სტილი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია, მაგრამ საინტერესო. რასაკვირველია, ჭაბუკიანის ჩანაწერის არსებობა საქმეს მათ უადვილებდა. მაგრამ, მეორეს მხრივ პასუხისმგებლობის ხარისხს მატებდა შემსრულებლებს. ჭაბუკიანმა ეს ბალეტი საკუთარ თავზე დადგა. ამილკარ მორეტმა და ფერნანდო მონტანომ კი აჩვენეს როგორ უნდა გააკეთო პარტია ისე საინტერესოდ, რომ ცეკვაც

took the choreographic text from the film, and offered the interpretation of the role so that none of them go beyond the frames of Chabukiani's choreography.

Those from the audience who had watched the film were looking forward to the scene of the celebration in the Cypriot palace, where the Moor, at the request of Desdemona and friends, dances the Moorish dance. From the very first sounds of the music, the amazing span of arms and dizzying movements become a symbol of Chabukiani. The three-minute Moorish dance is built in such a way that you never lose sight of the happy, smiling

face of the Moor. The film camera was able to accurately capture this emotion. The Moorish dance is the central and most impressive part of the ballet, and it has remained so for the public since its premiere. The theatre expert Kote Ninikashvili told me that he attended all the performances of *Othello*. And when he didn't have time (because he worked at the Marjanishvili Theatre) he would calculate exactly when Chabukiani was supposed to perform the Moorish dance and would run to the theatre to watch this scene. From this we can conclude that the great success of *Othello* was in the first place associated with this dance



ოთელი –  
 ამილკარ მორეტი  
 გონსალესი,  
 დემდემონა –  
 ეკატერინე სურმავა  
 OTHELLO –  
 AMILCAR MORET  
 GONZALEZ,  
 DESDEMONA –  
 EKATERINE SURMAVA

ბიანკა –  
 ელენე ღალანიძე  
 BIANCA –  
 ELENE GAGANIDZE

ყურადღებას იქცევდეს და სამსახიობო ოსტატობაც. ჩანაწერიდან აიღეს ქორეოგრაფიული ტექსტი, როლის საკუთარი ინტერპრეტაცია ისე შემოგვთავზებს, არც ერთი ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის ჩარჩოებს არ გასცდენია.

მაყურებელი, ვისაც ჩანაწერი ნანახი აქვს, მოუთმენლად ელოდა კვიპროსის სასახლეში ზემის სცენას, სადაც მავრი დემდემონასა და მეგობრების თხოვნით ცეკვავს მავრიტანულს. მუსიკის პირველივე ბგერიდან მკლავების საოცარი გაშლა და თავბრუდამხვევი მოძრაობა ჭაბუკიანის სახე-სიმბოლოდაა ქცეული. სამწუთიანი მავრიტანული

ცეკვა ისეა აგებული, რომ ერთი წუთითაც თვალსაწიერიდან არ გეკარგება მავრის ბედნიერი, მომღიმარი სახე. კინო-კამერამ ზუსტად შეძლო ამ ემოციის დაფიქსირება. მავრიტანული ცეკვა ცენტრალური და ყველაზე შთამბეჭდავი ადგილია ბალეტში და ასე ყოფილა მაყურებლისთვისაც პრემიერის დღიდან. თეატრმცოდნე კოტე ნინიკაშვილს პირადად აქვს მონათხრობი, რომ „ოთელოს“ ყველა წარმოდგენას ესწრებოდა. და თუ ამის დრო არ ჰქონდა (რადგან მარჯანიშვილის თეატრში მუშაობდა) ზუსტად გამოთვლიდა როდის უწევდა სპექტაკლზე მავრიტანულის შესრულება ჭაბუკიანს, შემოირბენდა



თეატრში და ამ სცენას აუცილებლად ნახავდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ „ოტელოს“ დიდი წარმატება უპირველესად ამ ცეკვამ და ჭაბუკიანის განუმეორებელმა შესრულებამ მოუტანა, რომელიც საკუთარ სხეულს მორგო 47 წლის ლეგენდარულმა მოცეკვავემ.

როცა ოტელოს ახალი შემსრულებლების ნაცეკვ მავრიტანულს უყურებ, თვალწინ გიდავს ჭაბუკიანი, მაგრამ ცდილობ ახლებურად შეხედო შემოთავაზებულ ვარიანტს თუ როგორ მორცხვად იწყებენ ცეკვას, მუსიკის რიტმთან როგორ ცვლიან ხელების მოძრაობას და სახის გამომეტყველებას.

არც ზურაბ კიკალაიშვილის იაგოს გავლენისგან თავის დაღწევა იყო ადვილი საქმე. ეფე ბურაკი თეატრში ერთი წლის წინ თურქეთიდან, ანკარის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ მოვიდა და რამდენიმე საინტერესო პარტია შეასრულა. იაგო მისთვის განსაკუთრებული გამოწვევა და მნიშვნელოვანი როლი იყო. ეფე ბურაკის იაგო ცბიერი, საინტერესო გრიმასებით დატვირთული პერსონაჟია. როცა დაკვირვებით უყურებ მას, შეუძლებელია ვერ შემანჩიო როგორ აგებს როლის დრამატურგიას მოცეკვავე, რომლის კულმინაციაა ოტელოს გულის შეწუხების სცენა,

როცა იაგო ცალი ფეხით გულზე დაადგება მავრს და ხელებს გაშლის. ეს მეტარფორული სახე ჭაბუკიანმა კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლიდან „ოტელო“ აიღო, რითაც დაამშვენა საკუთარი სპექტაკლი. საინტერესო და სრულიად განსხვავებულია იაგოს მეორე შემსრულებელი, თეატრის ახალგაზრდა სოლისტი პაპუნა კაპანაძე, მშვიდი, ნაკლებად გამოხატული მიმიკებით, მაგრამ ზუსტად დასახული მიზნით.

დემდემონას შემსრულებლებმა ეკატერინე სურმაგამ და რუიკა იოკოიამამ პარტიის ტექსტი საბალეტო დასის პედაგოგთან ლილიანა მითაიშვილთან მოამზადეს. ქალბატონი ლილიანა „ოტელოს“ დადგმის დროს ჭაბუკიანთან მუშაობდა, ემილიას ცეკვავდა და ფილმშიც ამ როლშია გადაღებული. ცოცხალ სამუშაო პროცესში დაიბადა ორი განსხვავებული შესრულება:



and Chabukiani's unique performance, which the 47-year-old legendary dancer adapted to his own body.

When you watch the Moorish dance performed by Othello's new performers, you see a young man in front of you, but you try to take a fresh look at the proposed version, how they timidly begin to dance, how they change hand movements and facial expressions to the beat of the music.

It was not easy to avoid the influence of Zurab Kikaleishvili's Iago either. Efe Burak came to the theatre a year ago from Turkey, after graduating from the Ankara Conservatory, and performed several interesting roles. Iago was a special challenge and an important role for


him. Efe Burak's Iago is a cunning character full of interesting grimaces. On closer inspection, it is impossible not to notice how the dancer creates the dramaturgy of the role, culminating in the scene of Othello being unconscious, when Iago puts one foot on the Moor's heart and opens his arms. Chabukiani took this metaphorical face from Kote Marjanishvili's play *Othello* and thus adorned his own performance. The second performer of Iago, the young theatre soloist Papuna Kapanadze, is completely different and interesting. His Iago is quiet, with less expressive facial expressions, but full of determination.

The performers of Desdemona, Ekaterina Surmava and Ruika Yokoyama prepared the choreo-


graphic text together with the Coach of the Ballet Company Liliانا Mitaishvili. Lilianna worked with Chabukiani during the production of *Othello*, she danced Emilia and also starred in this role in the film. In a live working process, two different performances were born: a new understanding of the role and the tragedy of Desdemona in the choreographic language. Lilianna, an outstanding coach gave interesting advice to two completely different and interesting dancers, Nino Samadashvili and Mari Eloshvili. From the premiere cast of *Othello*, Elene Gaganidze, in the role of Bianca, did not go unnoticed, a young, beautiful ballerina who had just joined the Company.

Eight new performance productions of *Othello*

were given with success. Emotions intensified in the finale, when the footage of the Moorish dance of Vakhtang Chabukiani appeared on the stage. Some believe that playing this recording on the screen overshadowed and faded the performance of the main performers standing on the stage. I do not share this opinion and will repeat what was said in the beginning – this play should not be considered an exact copy of what was staged in 1957. Chabukiani cannot be repeated, it is impossible. Other actors danced in Chabukiani's play, did not they? *Othello* was performed by Leading Soloist of the Ballet Company Tengiz Sanadze. I don't think that show did not touch the audience. After all, we go to the theatre to see different compositions, to evaluate their capabilities. The completion of the performance with Vakh-



ოთელიო –  
შალვა ღამბაშიძე,  
იაგო –  
უსანგი ჩხეიძე.  
სცენა კოტე  
მარჯანიშვილის  
სამეცხაკლიდან  
OTHELLO –  
SHALVA GAMBASHIDZE,  
IAGO –  
USHANGI CHKIDZE.  
A SCENE FROM KOTE  
MARJANISHVILI'S PLAY  
1932



ოთელიო –  
ვახტანგ  
ჩაბუკიანი,  
იაგო –  
ზურაბ  
კიკაელიძე  
OTHELLO –  
VAKHTANG  
CHABUKIANI,  
IAGO –  
ZURAB  
KIKALEISHVILI  
1957

როლის ახლებური გააზრება და დებდემონას ტრაგედია ქორეოგრაფიულ ენაზე. სახელოვანმა პედაგოგმა ემილიას როლზე დაკავებულ ნინო სამადაშვილს და მარი ელოშვილს საინტერესო რჩევები მისცა, ორ სრულიად განსხვავებულ და საინტერესო მოცეკვავეს. ოთელიოს საპრემიერო შემადგენლობიდან ყურადღება მიიქცია ელენე ლალანდიძის ბიანკამ, ახალგაზრდა, მშვენიერი პლასტიკის მოცეკვავემ, რომელიც ახლახან შემოუერთდა დასს.


„ოთელიოს“ საპრემიერო რვა სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. ემოციები იმატებდა დასასრულს, როცა სცენაზე ვახტანგ ჭაბუკიანის მავრიტანული ცეკვის კადრები ჩნდებოდა. ფიქრობენ, რომ ამ ჩანაწერის გაშვებამ ეკრანზე სცენაზე მდგომ-

მი მთავარი პარტიების შემსრულებლების შესრულება დაარდილა, უფერული გახადა. ვერ გავიზიარებ ამ მოსაზრებას და თავში ნათქვამს დავუბრუნდები – ამ სპექტაკლს არ უნდა შეეხედოთ როგორც ზუსტ ასლს იმისა, რაც 1957 წელს დაიდგა. ვერ განმეორდება ჭაბუკიანი, ეს შეუძლებელია. განა ჭაბუკიანის სპექტაკლში არ ცეკვავდნენ სხვა მსახიობები. ოთელიო იცეკვა საბალეტო დასის წამყვანმა სოლისტმა თენგიზ სანაძემ. არ მგონია, რომ იმ სპექტაკლს მაყურებელი არ ჰყოლოდა. თეატრში ხომ იმისთვის მივდივართ, ვნახოთ სხვადასხვა შემადგენლობა, შევაფასოთ მათი შესაძლებლობები. ვახტანგ ჭაბუკიანის გენიალური ისტორიული კადრებით სპექტაკლის დასრულებამ უფრო

მეტად გააჩინა იმის შეგრძნება, რომ „ოთელიოს“ აღდგენა ქართული ბალეტის ფუძემდებლის შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი პატივისცემის აქტი გახდა.

ჭაბუკიანის არც ერთ სპექტაკლს არა აქვს ისეთი რემონანსი, როგორიც „ოთელიოს“. ქორეოგრაფიულად თუ შეეხედავთ (და ეს საბალეტო წრეებში მიღებული აზრია) უფრო საინტერესოა მისი „ლაურენსია“, მინიმალური პანტომიმიური სცენებით, უხვად დატვირთული სახასიათო, მასიური ცეკვებით, კლასიკად ქცეული პა დ'აქსიონით. „ლაურენსიაც“ არის ფილმად გადაღებული, ვახტანგ ჭაბუკიანის და ვერა წიგნაძის შესრულებით. მაგრამ „ოთელიოს“ მაინც სხვა დიდება ერგო წილად. ეს სამომავლოდ საკვლევი საკითხია.

ჭაბუკიანის ოსტატობამ, რომელიც ამ დროს 47 წლის იყო, „ოთელიოში“ უდიდეს მწვერვალს მიაღწია. ალბათ, ამიტომ გახდა „ოთელიო“ სპექტაკლი-ფოიერვერკი, სპექტაკლი-შედეგრი, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ არ იყო და არც აღდგენილი სპექტაკლის პრემიერის შემდეგ არაა ერთგვაროვანი აზრი. და ამის აღნიშვნა, ცხადია, არაფერს აკლებს არც ვახტანგ ჭაბუკიანს და არც „ოთელიოს“. საერთოდ, ტაბუები ხელოვნებას აზიანებს. ხელოვნება პირიქით ტაბუს მსხვერვაა. ამიტომ, ვფიქრობ, სწორი იქნება ასე შევხედოთ „ოთელიოს“, რომელიც სპექტაკლი-მემორიალია ქართული ბალეტის ისტორიისთვის.



ოთელო –  
ამილკარ მორეი  
გონსალესი,  
იაგო –  
ეფე ბურაკი  
OTHELLO –  
AMILCAR MORET  
GONZALEZ,  
IAGO –  
EFE BURAK  
2022



ოთელო –  
ფერნანდო მონტანო,  
იაგო – პაპუნა კაპანაძე  
OTHELLO –  
FERNANDO MONTANO,  
IAGO – PAPUNA  
KAPANADZE  
2022

tang Chabukiani's brilliant historical shots gave a stronger feeling that the restoration of *Othello* was an act of respect for the creative heritage of the founder of the Georgian ballet.

None of Chabukiani's plays has such a big response as *Othello*. If you look at the choreography

(and this is the generally accepted opinion in ballet circles), then his *Laurencia*, with its minimal pantomime scenes richly loaded with characteristic mass dances, and already a classical Pas d' action, is more interesting. *Laurencia* was also made into a film starring Vakhtang Chabukiani and Vera Tsignadze. But *Othello's*

glory was different. This is a question for future research.

Chabukiani's skill, at the age of 47, reached its highest peak in *Othello*. Maybe that's why *Othello* became a celebratory, a masterpiece performance, despite the fact that there was no consensus about it before or after the

premiere of the renewed play. And to mention this clearly does not downplay either Vakhtang Chabukiani or *Othello*. In general, taboos harm art. Art, on the other hand, breaks taboos. Therefore, I think that this is how you can look at *Othello* that is a tribute performance to the history of the Georgian ballet.



„ოთელოს“ პრემიერის შემდეგ, 2022 წ. მარცხნიდან: ნინო ანანიშვილი, განათების რეჟისორი ვირჯინიო ლევრიო, ოთელო – ამილკარ მორეი, დამდგმელი დირიჟორი – ვახტანგ მაჭავარიანი, დამდგმელნი – ეკატერინე სურმავა, დამდგმელი მხატვარი – დავით პოპიაშვილი. დგანან: როდერიგო – დიეგო ბუტიგლიონე, ემილია – ნინო სამადაშვილი, კასიო – ოსკარ ფრამე, იაგო – ეფე ბურაკი, ჩაბუკიანის ქორეოგრაფიის აღმდგენი – ლალი კანდელაკი

AFTER THE PREMIERE OF THE BALLET «OTHELLO». 2022 FROM LEFT: NINA ANANIASHVILI, LIGHTING DESIGNER VIRGINIO LEVRIO, OTHELLO – AMILCAR MORET, CONDUCTOR – VAKHTANG MATCHAVARIANI, DESDEMONA – EKATERINE SURMAVA, SET DESIGNER – DAVID POPIASHVILI. STANDING: RODERIGO – DIEGO BUTTIGLIONE, EMILIA – NINO SAMADASHVILI, CASSIO – OSCAR FRAME, IAGO – EFE BURAK, CHABUKIANI CHOREOGRAPHY RESTORER – LALI KANDELAKI



## ნინო ანანიაშვილი:

„თეატრი მუზეუმი ვერ იქნება,  
მაგრამ ბევრი რამ უნდა შევინარჩუნოთ“

Nina Ananiashvili:

"THE THEATRE CANNOT BE A MUSEUM,  
BUT WE HAVE TO PRESERVE MANY THINGS"

170-ე საიუბილეო სეზონის გამორჩეული და შეიძლება ითქვას ისტორიული პრემიერა იყო ალექსი მაჭავარიანის ბალეტის „ოთელოს“ აღდგენა. ვახტანგ ჭაბუკიანის ამ ლეგენდარული ბალეტის ახალი რედაქციით დადგმა ნინო ანანიაშვილის ინიციატივით განხორციელდა.

პრემიერის წინ „არაბესკი“ ესაუბრა ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელს.

„ლაურენსია“, „გორდა“ და ახლა „ოთელო“ – ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებიდან სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ბალეტი უკვე არის თეატრის რეპერტუარში. რატომ გადაწყვიტეთ რომ მოგეკიდათ ხელი ამ ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული სპექტაკლის აღდგენისათვის?

დიდი ხანი ვფიქრობდი გამეკეთებინა ეს სპექტაკლი, მაგრამ შინაგანად მზად არ ვიყავი. ვფიქრობ, არც დასი იყო მზად ამ პროექტისთვის. „ოთელოში“ არ არის მხოლოდ ცეკვა, იგი მოითხოვს დიდ სამსახიობო ოსტატობას. მიხარია, რომ გვერდით დამიდგნენ ადამიანები, რომელთა აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. დავიწყებ მანქანის ვახტანგ მაჭავარიანით. მისი დამსახურებაა ის, რომ შემომთავაზა ახლებურად გამეკეთებინა ეს სპექტაკლი. მან მაჩვენა ალექსი მაჭავარიანის მუსიკაზე ჩეხეთში დადგმული სპექტაკლის ჩანაწერი. გადავლახეთ შინაგანი ღელვა, მოვილაპარაკეთ, რომ აღგვედგინა

The outstanding and, one might say, historical premiere of the 170th anniversary season was the revival of the ballet *Othello* by Alexi Matchavariani. Nina Ananiashvili initiated to stage a new version of this legendary ballet by Vakhtang Chabukiani.

Before the premiere, Arabesque talked to the Artistic Director of the ballet.

*Laurencia, Gorda and now Othello* – the three most important ballets from Vakhtang Chabukiani's creations are already in the repertoire of our theatre. Why did you decide to make this very important and difficult decision?

I have been thinking about staging this performance for a long time, but I wasn't ready. I don't think the Company was ready for this project either. *Othello* is not only about dancing, it also requires great acting skills. I am happy that people whose opinion is important to us supported me. I will start with maestro Vakhtang Matchavariani. Of course, his attitude to his father's work is serious and precise, and he is the conductor of the play, but this is not the only thing that matters. It was Vakhtang Matchavariani who suggested to stage this performance in a new way. He showed me a recording of a performance staged in the Czech Republic to the music of Alexi Matchavariani. However, I was not very

ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია, ახალი რედაქციით, რადგან იმის განმეორება რაც 1957 წელს დაიდგა შეუძლებელია.

**ბალეტი ოთხ მოქმედების და ცამეტი სურათისაგან შედგებოდა. ახლა ორ-მოქმედებიანია.**

იმ მიზანსცენების და ცეკვების აღდგენა, რაც უკვე დაკარგულია და არავის არ ახსოვს, შეუძლებელი იყო. შევეცადეთ, პირველ რიგში, სიუჟეტი გადმოგვეცა სწორად. ახალი რედაქცია მიყვება ფილმს, რომელიც 1960 წელს გადაიღეს. „ოტელო“ ვახტანგ ჭაბუკიანის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სპექტაკლი იყო. ალბათ იმიტომაც, რომ თავად ოტელოს პარტია იცეკვა მაშინ, როცა უკვე ლეგენდარული მოცეკვავე გახლდათ და ფანტასტიკურად შეასრულა ეს როლი. დიდი ბედნიერებაა, რომ სპექტაკლი გადაიღეს და ფილმი შემოგვჩნა, რომელიც ძალიან ღირებულია და მაღალ დონეზეა გადაღებული. ფილმის ხარისხი არ არის კარგი, აღსადგენია, მაგრამ მასში შემონახული მასალის მიხედვით დავდგით სპექტაკლი. დიდად დახმარება აღმოგვიჩინა ჩვენის დასის პედაგოგ-რეპეტიტორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, ქალბატონმა ლილიანა მითაიშვილმა, რომელიც ემილიას როლშია გადაღებული. ბევრი რამ გაიხსენა ბატონ ვახტანგთან მუშაობის პერიოდებიდან. ოტელოსა და დეზდემონას შემსრულებელ ჩვენ მოცეკვავეებს აჩვენებდა ნახაზს, მოძრაობებს, უხსნიდა მიზანსცენებს. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია ფილმის მიხედვით ჩვენი დასის წამყვანმა სოლისტმა და პედაგოგმა ლალი კანდელაკმა აღადგინა. დასთან ის მუშაობდა, პედაგოგ-რეპეტიტორებთან ერთად. რაც მთავარია, მინდოდა რომ სცენოგრაფია და კოსტიუმები სიმონ ვირსალაძის, ბატონი სოლიკოს სცენოგრაფიულ ჩანაფიქრთან მაქსიმალურად ყოფილიყო მიახლოებული.

**უნდა მეკითხა ამის თაობაზე. „ოტელოს“ წარმატებას სამ დიდ სახელს უკავშირებენ: კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი, ქორეოგრაფი ვახტანგ ჭაბუკიანი და სცენოგრაფი და კოსტიუმების მხატვარი სოლიკო ვირსალაძე. ამ**



excited to do a new play. We overcame our internal anxiety and agreed to restore the choreography of Vakhtang Chabukiani, in a new version, because it is impossible to repeat what was staged in 1957.

**The ballet consisted of four acts and thirteen scenes. Now it is a two-act performance.**

It was impossible to restore those mise-en-scènes and dances that have already been lost and that no one remembers. First of all, we tried to convey the story correctly. The new edition follows the film made in 1960. *Othello* was one of the most famous performances by Vakhtang Chabukiani. Perhaps because he danced the part of Othello himself when he was already a legendary dancer and he performed the role fantastically. It is a great luck that this was filmed and the film, made at a remarkable high level, has been preserved. The quality of the film is not good, it needs to be restored, but we staged the performance based on the material preserved in the film. Ms. Liliانا Mitaishvili, Coaching Ballet Master of our Company, People's Artist of Georgia, who played the role of Emilia in the film, helped us a lot. She remembered many things from the period of working with Mr. Chabukiani. She showed our dancers who performed Othello and Desdemona the patterns, movements, and explained the

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, ნინო ანანიაშვილი და პედაგოგ-რეპეტიტორი სვეტლანა გოჩიაშვილი „ოტელოს“ რეპეტიციებში  
CONDUCTOR VAKHTANG MACHAVARIANI, NINA ANANIASHVILI AND COACHING BALLET MASTER SVETLANA GOCHIASHVILI AT THE REHEARSAL OF OTHELLO



დირიჟორი ვახტანგ მაჩავარიანი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე და ნინო ანანიავილი პრეს-კონფერენციაზე პრემიერის წინ. 11 მაისი. 2022

CONDUCTOR VAKHTANG MACHAVARIANI, ARTISTIC DIRECTOR OF THE THEATER BADRI MAISURADZE AND NINA ANANIASHVILI AT THE PRESS CONFERENCE BEFORE THE PREMIERE. MAY 11, 2022

**სამი უდიდესი შემოქმედის კოლაბორაციამ, შეიძლება ითქვას, განაპირობა სპექტაკლის წარმატება. მაგრამ ფილმში დეკორაციები ძალიან კარგად არ ჩანს. როგორ მოხდა ამ დეკორაციების და კოსტიუმების აღდგენა ?**

დამდგმელ მხატვრად დავით პოპიაშვილი მოვიწვიე, რომელთანაც უკვე მქონდა ერთობლივი მუშაობის გამოცდილება. ბატონი სოლიკოს მხოლოდ რამდენიმე ესკიზი შემორჩინილი. ოპერის თეატრის 1972 წლის ხანძრის დროს ბევრი რამ დაიწვა. ამიტომ, დათომ მნიშვნელოვანი სამუშაო ძირითადად ფილმის, შემორჩენილი ესკიზების და ფოტომასალის მიხედვით შეასრულა. რთულია მიბაძო ორიგინალს, თავისუფალი არ ხარ. დათო ეცადა ორიგინალთან ახლოს ყოფილიყო სცენოგრაფია. ბატონი სოლიკოს ესკიზის მიხედვით დახატა კიდევ ერთი ფარდა. მაგრამ, სცენიდან სცენაზე გადასასვლელად დაგვჭირდა მეორე ფარდაც, რომელიც საკუთარი ჩანაფიქრის მიხედვით გააკეთა. დანარჩენი მიახლოებულია იმასთან, რაც ფილმში აღიქმება.

**რამდენადაც ვიცი, თავიდან ჩაფიქრებული გქონდათ სუიტის გაკეთება. საუბარი იყო იმაზეც, რომ ჭაბუკიანის შემდეგ ოტელოს შესრულება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. სირთულეს განაპირობებს ფილმიც, სადაც გენიალურია ვახტანგ ჭაბუკიანი, მისი პარტნიორები ვერა წიგნაძე და ზურაბ კიკალეიშვილი. ეს გარკვეული დილემა იყო თქვენთვის? როცა გადაწყვეტი-**

mise-en-scènes. Lali Kandelaki, Leading Soloist and Coaching Ballet Master of our Company, recreated Vakhtang Chabukiani's choreography based on the film. She worked with the Company together with coaching ballet masters. Most importantly, I wanted the scenography and costumes to be as close as possible to the scenography idea of Soliko Virsaladze.

**I wanted to ask about that. The success of *Othello* is attributed to three big names: composer Alexi Matchvariani, choreographer Vakhtang Chabukiani, and set designer and costume designer Soliko Virsaladze. It can be said that the collaboration of these three great creators led to the success of the production. But the scenes cannot be seen clearly in the film. How were these decorations and costumes restored?**

As set designer I invited David Popiashvili, who I already had the experience working with. Only a few of Soliko's sketches have survived. In the Opera House fire of 1972, many things were burned. Thus, Dato did an important work mainly based on the film, the survived sketches and photographs. It is difficult to imitate the original, as you are not free. Dato tried to get as close to the original set design as possible, he even drew one curtain according to Soliko's sketch. But, to move from scene to scene, we also needed a second curtain, which he made according to his own idea. The rest is close to what is perceived in the film.

**As far as I know, you originally intended to stage a suite. It was also said that it would be almost impossible to perform *Othello* after Chabukiani. This is actually quite difficult because there are still people who remember Chabukiani on stage and are unlikely to accept another offer. The film, in which the geniuses Vakhtang Chabukiani, and his partners Vera Tsignadze and Zurab Kikaleishvili are featured, also adds to this difficulty. Was that a bit of a dilemma for you? How did you find the courage, if one might say so, to make the decision?**

**ლებას იღებდით, ამ თვალსაზრისით, რამ მოგცათ თუ შეიძლება ასე ითქვას, გამბედაობა?**

გეთანხმებით, რომ ეს მომენტი დიდი დაბრკოლება იყო. ალბათ, ამიტომაც ვყოყმანობდი ამდენ ხანს. ვახტანგ ჭაბუკიანზე უკეთესად ცეკვა და ამ გმირის ხასიათის გადმოცემა სცენაზე სხეულის ენით, როგორც ეს მან შეძლო, წარმოუდგენელია. იაგო, რომელსაც ასრულებს ბატონი ზურაბ კიკაღიშვილი ასევე გახლავთ უმაღლესი დონის შესრულება. ისეთი სასწაულია მათი დუეტი, რომ ხშირად კამათობენ, ვის უფრო დიდი ადგილი უჭირავს სპექტაკლში. ვერა წიგნაძის ჰაეროვნებას, გრაციოზულობას აღტაცებაში მოჰყავს მყუერებელი. ბატონ ვახტანგ მაჭავარიანთან წლებია ვმეგობრობ. სულ მეუბნებოდა, რატომ არ გინდა „ოთელო“ აღდგენა და სულ ვპასუხობდი, „აი ვინ უნდა იცეკვოს სამი მთავარი პერსონაჟი“. შეხედე სხვანაირად, მითხრა მან და მაჩვენა ჩეხეთში დადგმული ალექსი მაჭავარიანის „ოთელო“. ნანახი მაქვს ლარ ლიუბოვიჩის „ოთელო“ ამერიკის ბალეტის თეატრში, რომელსაც ცეკვავენ დესმონდ რიჩარდსონი და იური პოსოხოვი. ძალიან ლამაზი სპექტაკლი იყო, ორივე ოთელო – სხვადასხვანაირი და ბრწყინვალე. ამან ბიძგი მომცა, რომ რაღაც შეიძლება გამოგვსვლოდა. პრემიერაზე მოვიწვიეთ ორი მოცეკვავე – კუბელი ამილკარ მორეტი და კოლუმბიელი ფერნანდო მონტანო. ორივე განსხვავებული მოცეკვავეა, ორივემ ოთელოს საკუთარი სახე შექმნა. არც ერთი არ ჰგავს ჭაბუკიანს, შეუძლებელია მას დაემსგავსო. მათ რაღაცნაირად იგრძნეს ის ატმოსფერო, რაც ფილმში ნახეს და თავისებურად გადმოცემას შეეცადნენ.

**სხვა პერსონაჟებზე რას იტყვით?**

დემდემონას პარტია ეკატერინე სურმაჯამ და რუიკა იოკოიამამ მოამზადეს. ეს მათ კარიერაში ისტორიული მომენტია და ამავდროულად დიდი პასუხისმგებლობა. ქალბატონმა ვერა წიგნაძემ ეს პარტია გენიალურად შეასრულა. ამიტომ აკვირდებოდნენ ჩანაწერს, ყოველ ნიუანსს, ყოველ მოქმედებას, ყოველ ჟესტს. სპექტაკლში ძალიან მნიშვნელოვანია იაგოს

I agree that this was a big obstacle. Maybe that's why I hesitated for so long. To dance better than Vakhtang Chabukiani and convey the character of the hero on the stage with body language, as he was able to do, was unimaginable. Iago performed by Mr. Zurab Kikaleishvili is also a top-level performance. Their duet is so amazing that they often argue about who has a bigger part in the play. The airiness and grace of Vera Tsignadze bring the audience into admiration. I have been friends with Mr. Vakhtang Matchavariani for many years. He kept asking me why I did not want to revive *Othello* and I kept answering, "Who should dance, who should dance the three main characters." He told me to look at it differently and showed me Alexi Matchavariani's *Othello* staged in the Czech Republic. I have seen Lar Lubovitch's *Othello* performed by the American Ballet Theatre, the title character played by Desmond Richardson and Yuri Possokhov. It was a very beautiful performance, both Othellos – different and brilliant. This gave me the impetus to believe that it might work. We invited two dancers to the premiere, Amilcar Moret from Cuba and Fernando Montaña from Colombia. Both are different dancers, both have created their own image for Othello. None of them look like Chabukiani, it is impossible to look like him. They somehow felt the atmosphere they saw in the movie and tried to convey it in their own way.

**What about the other characters?**

Desdemona's part was prepared by Ekaterine Surmava and Ruika Yokoyama. This is a historic moment in their career and at the same time a great responsibility. This part was brilliantly performed by Mrs. Vera Tsignadze. That's why they watched the tape, every nuance, every action, every gesture. The role of Iago is very important in the performance. Efe Burak created an interesting face of Iago in our production. Efe joined our Company last year. He is from Turkey. I like his Iago, and his acting skills. Papuna Kapanadze, our young soloist, is completely different in the role of Iago. Nino Samadashvili and Mari Eloshvili played the part of Emilia, the role played by Mrs. Liliانا Mitaishvili in the film. It was

როლი. ჩვენ სპექტაკლში იაგოს საინტერესო სახე შექმნა ეფე ბურაკმა. ეფე მარშან შემოუერთდა ჩვენ დასს, თურქეთიდანაა. იქ დაასრულა საბალეტო სასწავლებელი და სცენური კარიერა ჩვენთან დაიწყო. მომწონს მისი იაგო, მისი სამსახიობო შესაძლებლობები. სრულიად განსხვავებულია იაგოს როლში პაპუნა კაპანაძე, ჩვენი ახალგაზრდა სოლისტი. ემილიას პარტია, რომელსაც ნინი სამადაშვილი და მარი ელოშვილი ასრულებენ, გახლდათ ის როლი, რომელიც ფილმში ითამაშა ქალბატონმა ლილიანა მითაიშვილმა. მათი სიმსუბუქე და სილალე სცენაზე სასიამოვნო სანახავი იყო.

**ტექნიკურადაც რთული სპექტაკლია, ბევრი გადაცვლებით, მასიური დეკორაციებით, თანამედროვე ვიზუალური საშუალებებით.**

სცენების ბევრი მონაცვლეობა და განათებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სპექტაკლზე იტალიელმა გამნათებელმა ვირჯინიო ლევრიომ იმუშავა და საინტერესო სამუშაო შეასრულა. მან რამდენიმე სპექტაკლი გააკეთა ჩემთან ერთად. ამიტომ კარგად იცის ჩვენი სცენის შესაძლებლობები, რაც დაეხმარა, რომ ვიზუალურად სპექტაკლს სხვა სიციცხლე, დინამიკურობა შეეძინა. სპექტაკლში გამოვიყენეთ ვიდეო პროექციები, რომელიც კომპანია „HOLMES & WATSON“-მა მოამზადა. ბევრი სცენა და მათი ცვლილება მხოლოდ დეკორაციებით, ფინანსურადაც შეუძლებელი იქნებოდა. ეს ექსპერიმენტი პირველად „გორდაში“ გამოვიყენეთ.

კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მაყურებელს, რომ ნუ შეხედავთ და შეადარებთ ძველ სპექტაკლს ახალ დადგმას. შეუძლებელია მისი განმეორება. შევხედოთ ახალი თვალით, შევხედოთ დღეს როგორ ასრულებენ მსახიობები, დღეს როგორ ცეკვავენ. ყველაფერი შეიცვალა. თეატრი მუზეუმი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენ ბევრი რამ უნდა შევინარჩუნოთ. ეს არის სპექტაკლი-მემორიალი, რომელიც ვახტანგ ჭაბუკიანს – ქართული ბალეტის ფუძემდებელს ეძღვნება.



a pleasure to watch their lightness and easiness on the stage.

**Technically, it is also a complex performance, with many changes, massive decorations, modern visual aspects.**

There are a lot of scene changes and lighting is terrifically important. The Italian lighting designer Virginio Levrio worked on the production and did an interesting job. He has worked on several plays with me. That's why he is well aware of the possibilities of our stage, which helped to visually give the performance another life and dynamism. We have used video projections prepared by the company "HOLMES & WATSON" in the performance. There are many scenes and it would be impossible both physically and financially to change them only with the decorations. We used this experiment for the first time in *Gorda*.

Once again I want to tell the audience not to look at the old play and compare it with the new one. It is impossible to repeat. Let us look with fresh eyes. Let us look at how the artists perform today, how they dance today. Everything has changed. The theatre cannot be a museum, but we have to preserve many things. This is a tribute performance dedicated to Vakhtang Chabukiani, the founder of the Georgian ballet.

პრემიერის შემდეგ, ნინო ანანიაშვილი და ამილკარ მორეო მონსალესი. 13 მაისი, 2022 AFTER THE PREMIERE. NINA ANANIASHVILI AND AMILCAR MORET GONZALEZ. MAY 13, 2022

2021

სახალწლო გალა

თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრმა სახალწლო გალა-კონცერტების ტრადიცია გააგრძელა და 30 დეკემბერს მაცურებელი თეატრში გრანდიოზულ სადღესასწაულო წარმოდგენაზე მიიწვია. სადღესასწაულო პროგრამა მსოფლიო საოპერო და საბალეტო შედეგებს აერთიანებდა.

სახალწლო გალა-კონცერტზე, ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტის ახალგაზრდა სოლისტების რანგში, ქართველი მაცურებლის წინაშე, პირველად გამოვიდნენ თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები სალომე ლევერაშვილი და გიორგი ფოცხიშვილი. მათ შეასრულეს პა დე დე ბალეტიდან „კორსარი“.

NEW YEAR'S GALA

The Tbilisi Opera and Ballet Theatre continued its tradition of New Year's gala concerts and on December 30 invited the audience to a grandiose performance at the theatre. The festive program included excerpts from opera and ballet masterpieces.

Salome Leverashvili and Giorgi Potskhishvili, graduates of the Vakhtang Chabukiani Tbilisi Choreographic School, performed for the first time in front of the Georgian public as young soloists of the Dutch National Ballet at the New Year Gala. They performed the Pas de deux from Adolphe Adam's *Le Corsaire*.

საუბრები ბალანჩინეზე

21 ნოემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ჯორჯ ბალანჩინის აღდგენილი პროგრამის წარმოდგენის წინ, გაიმართა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებთან და ქორეოგრაფიული სასწავლებლის უფროსკურსელებთან. ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედების შესახებ მათ ესაუბრნენ ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის წამყვანი სოლისტები ნინო სამადაშვილი და ეკატერინე სურმავა და ბალეტის მკვლევარი ილია თავბერიძე. ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერმა ბენ ჰაისმა შეკითხვებზე პასუხები ვიდეო მიმართვის ფორმით გამოგზავნა, რომელიც შეხვედრის მონაწილეებს გაეცნო.

CONVERSATIONS ABOUT BALANCHINE

On November 21, before the presentation of George Balanchine's restored program at the Zakaria Paliashvili Tbilisi Opera and Ballet State Theatre, a meeting was held with students of the Tbilisi State Conservatoire and senior students of the Vakhtang Chabukiani State Choreographic School. The students listened to Nina Ananiashvili, as well as leading soloists of the Ballet Company Nino Samadashvili and Ekaterine Surmava and ballet researcher Iliia Tavberidze who spoke with them about George Balanchine's work. Ben Huys, Ballet Master of the Balanchine Trust sent his answers to the questions in the form of a video address to the participants of the meeting.

ბალანჩინის საღამო

20 ნოემბერს, ცამეტი წლის შემდეგ, თეატრში კვლავ აღდგა ჯორჯ ბალანჩინის „აპოლონ მუსაგეტი“. აპოლონის პარტიში პირველი გამოსვლა ჰქონდა ანდრიი ჰავრილიუკს, ტერფსიქორეს, პოლიჰიმნიას და პენელოპეს პარტიები იცეკვეს – ნინო სამადაშვილმა, ნუსტა ჩეკურაშვილმა და რუკია იოკოიამამ. პროგრამაში ასევე წარმოდგენილი იყო ჯორჯ ბალანჩინის კიდევ ორი ბალეტი – „კონჩერტო ბაროკო“ და „სერენადა“.

პრემიერის წინ მაცურებელს მიესალმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, მისი აღმატებულება კელი დეგნანი. ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 2005 წლიდან იდგმება, „ჯორჯ ბალანჩინის ფონდის“ მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე. 2021 წელს ამ ლიცენზიების განახლება საქართველოში აშშ საელჩოს მხარდაჭერით მოხდა.

BALANCHINE'S EVENING

On November 20, after thirteen years, George Balanchine's *Apollo* was revived at the theatre. Andrii Havryliuk performed for the first time as *Apollo*, Nino Samadashvili, Nutsa Chekurashvili and Ruika Yokoyama danced *Terpsichore*, *Polyhymnia*, and *Penelope*. The program also featured two more ballets by George Balanchine: *Concerto Barocco* and *Serenade*.

US Ambassador to Georgia Her Excellency Kelly Degnan greeted the audience before the premiere. George Balanchine's ballets have been staged at the Tbilisi Opera and Ballet Theatre since 2005 based on the permissions issued by the George Balanchine Trust. In 2021, these permissions were renewed with the support of the US Embassy in Georgia.



2022

11-15 ივნისს სერგეი პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტას“ ამერიკელმა დირიჟორმა გავრიელ ჰაინემ უდირიჟორა. გავრიელ ჰაინეს რეპერტუარშია მრავალი სიმფონიური, საბალეტო და საოპერო ნაწარმოები. სანკტ-პეტერბურგის „მარიინსკი“ თეატრში მან 800-ზე მეტ სპექტაკლს უდირიჟორა. როგორც მიწვეული დირიჟორი გამოდის მსოფლიოს პრესტიჟულ საოპერო თეატრებში, ფესტივალებსა და საკონცერტო არენებზე.

Pinocchio sank and we were taken down with him into a magical, colorful world of jellyfish, clams, and tropical fish, with turtles and starfish played by the youngest members of the State Ballet Company. Back on the surface, a giant fish arose from those waves, his mouth open, teeth bared. And in his mouth was Geppetto. With father and son reunited and Pinocchio truly sorry for his wrongs, the Blue Fairy granted him the right to live as a real boy.

My kids were happy; my eldest re-inspired to take up ballet again, my son exclaiming at the big Lollipop and the giant fish; my middle daughter wowed by how high the ballet dancers had jumped. Pinocchio, as performed by the Tbilisi State Ballet,

had achieved its goal to entertain equally both the youngest and oldest in the audience, bringing alive a childhood tale and waking us up from a too-long slumber without the delights of the State Ballet of Georgia. And I'm not the only one to think so.

“On behalf of Friends of the Georgian Ballet, I would like to express our gratitude to Nina Ananiashvili [Director of the Ballet Company], and the dancers, who are so talented and work so hard to give us these incredible performances, which are often like little pieces of Europe,” said Friends of the Georgian Ballet Board Member Gilles Carasso following the premiere. “That gratitude is deeper this year. The pandemic, while difficult for all of us,

მოცეკვავეები, იგივე ტალღები, ტრიალებდნენ და მცურავ პინოკიოს ეხეთქებოდნენ. პინოკიო ჩაიძირა და ჩვენც მასთან ერთად აღმოვჩნდით მედუზების, მოლუსკებისა და თევზების ჯადოსნურ, ფერად სამყაროში, კუბთან და ვარსკვლავურ თევზებთან ერთად. მათ საბალეტო დასის ყველაზე ახალგაზრდა წევრები ასრულებდნენ. ზედაპირზე, ტალღებიდან პირლია, კბილებგაშიშვლებული გიგანტური თევზი ამოიწია, რომელსაც პირში ჯეპეტო ჰყავდა. და როცა მამა-შვილი ერთმანეთს ხვდება, პინოკიო ინანიებს თავის

დანახვაზე ხარობდა, შუათანა ქალიშვილი კი აღფრთოვანებული იყო იმით, თუ რა სიმაღლეზე ხტოდნენ ბალერინები. „პინოკიომ“ საქართველოს სახელმწიფო ბალეტის შესრულებით, მიზანს მიაღწია, საბავშვო ზღაპარი გააცოცხლა, გამოვიყვანა ხანგრძლივი ძილიდან და ყველაზე პატარა და ყველაზე ხანდაზმული მაყურებელი ერთნაირად გაგვართო... მე არ ვარ ერთადერთი, ვინც ასე ფიქრობს.

„ქართული ბალეტის მეგობართა სახელით მინდა მადლობა გადავუხადო ნინო ანანიაშვილს

„მადლიერების განცდას კიდევ უფრო აძლიერებს იმის გათვალისწინება, რომ ყველასათვის ერთული პანდემია კატასტროფად იქცა საშემსრულებლო ხელოვნებისა და მხატვრებისთვის — ყველაფერი შეჩერდა. არც სპექტაკლები, არც ფული და არც მუშაობის შანსი. მაგრამ ისინი არ დანებდნენ. როცა თეატრში ველარ მოდიოდნენ, ავტოსადგომზე ჩვენთვის „ღონ კიხორტს“ ცეკვავდნენ და ეს იყო წარმოუდგენელი რამ. როგორც კი დაუბრუნდნენ თავის შენობას, მათ ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყეს წინსვლა და მე კვლავაც სახტად დავრჩი...

was a catastrophe for the performing arts and artists- everything stopped. No performances, no money coming in, no chance to work. But they never gave up. When they couldn't perform in the theater, they danced Don Quixote for us in the car park. And it was incredible. Once back in their premises, they began moving step by step forwards, and I was again amazed. And when you think of the conditions in which Pinocchio was prepared- masks, distancing, etc., the set design and music, all together it was an incredible success,” he said.

პრემიერის შემდეგ  
AFTER THE PREMIERE



შეცდომებს. ცისფერი ფერია მას უფლებას აძლევს ნამდვილი ბიჭივით იცხოვროს.

ჩემი შვილები ბედნიერები იყვნენ. უფროს გოგონას სპექტაკლმა მოანდომა განეახლებინა ბალეტზე მეცადინეობა, უმცროსი ვაჟი დიდი ლოლიპოპებისა და გიგანტური თევზების

და ნიჭიერ მოცეკვავეებს, რომლებიც ძალასა და შრომას არ იშურებენ იმისთვის, რომ ეს საოცარი წარმოდგენები, როგორც ევროპული კულტურის პატარა ნამსხვრევები, ჩვენამდე მოიტანოს“, — განაცხადა პრემიერის შემდეგ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების საბჭოს წევრმა ჯილ კარასომ.

როდესაც დაფიქრდები, რა პირობებში მზადდებოდა „პინოკიო“ — ნიღბები, დისტანცირება და ა.შ., დეკორაციის დიზაინი და მუსიკა, ეს ყველაფერი ერთად წარმოუდგენელი წარმატება იყო“, — თქვა მან.

პინოკიოს მსოფლიო პრემიერა 2015 წელს ჰონგ კონგში გაიმართა.

The world premiere of Pinocchio took place in Hong Kong in 2015.

# მარადიული მედეა

## ETERNAL MEDEA

ხათუნა მზარელუა  
KHATUNA MZARELUA

სპეციალურად „არაბესკისთვის“  
Specially for Arabesque

იური პოსოხოვის ერთმოქმედებიანი ბალეტის „მედეას“ პრემიერა 2020 წლის 18 მარტს უნდა გამართულიყო. გენერალური რეპეტიცია შედგა, მაგრამ პრემიერის გამართვა ვეღარ მოხერხდა. კოვიდ-პანდემიის გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. თეატრი დროებით დაიხურა. „მედეას“ პრემიერა 2021 წლის 2 დეკემბერს გაიმართა.

The premiere of Yuri Possokhov's one-act ballet *Medea* had been planned for March 18, 2020. The general rehearsal took place, but the premiere could not be held. Due to the Covid pandemic a state of emergency was declared in the country. The theatre was temporarily closed. The premiere of *Medea* was held on December 2, 2021.

ერთმოქმედებიანი ბალეტი „მედეა“ იური პოსოხოვმა, 2002 წელს, სან-ფრანცისკოს საბალეტო დასისთვის „განკიცხულის“ სახელით დადგა. ამ მსოფლიო პრემიერას გარკვეული დატვირთვაც ჰქონდა. ქორეოგრაფს

The one-act ballet *Medea* was staged by Yuri Possokhov in 2002 for the San Francisco Ballet Company under the title *Damned*. This world premiere had a certain load. The choreographer was inspired by his desire to "showcase the virtuosity and dramatic talent of his frequent stage



მისი შექმნა შთააგონა „თავისი ხშირი სასცენო პარტნიორის, ბალერინა ჯოანა ბერმანის ვირტუოზობისა და დრამატული ნიჭის წარმოჩენის“ სურვილმა, რათა „სემონის ბოლოს, მისი სცენიდან წასვლისთვის მიეგო პატივი“. იური პოსოხოვის ნანახი ჰქონდა დანიელი რეჟისორის, ლარს ფონ ტრიერის ფილმი „მედეა“ და მიღებულმა შთაბეჭდილებამაც უბიძგა ამ თემაზე ჯოანა ბერმანისთვის ბალეტი დაედგა.

2021 წლის 2 დეკემბერს კი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა იური პოსოხოვის „მედეა“ პირველად იცეკვა. თბილისური პრემიერისთვის ქორეოგრაფმა მსუბუქი ცვლილებები შეიტანა მოძრაობებში და ბალეტში შემოიყვანა ქართული ნაციონალური კოსტიუმით შემოსილი ორი პატარა ბიჭი (ქართულ საცეკვაო ილეთებს დიდი მონდომებით რომ ასრულებენ) – მედეასა და იასონის შვილები. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის იური პოსოხოვის პირველი თანამშრომლობა ქართულ დასთან. მისი ორი ბალეტი – „საგალობელი“ (2008) და „ანარეკლი“ (2012) თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპერტუარშია. ქართულ ხალხურ მელოდიებსა და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე შექმნილი ბალეტი-ფრესკა „საგალობელი“ კი „ერთგვარი სავიზიტო ბარათია, რომელსაც ხშირად ცეკვავენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ“.

მითი არასოდეს კვდება და მუდმივ მეტამორფოზს განიცდის. არგონავტების თქმულების და, კერძოდ,

partner, ballerina Joanna Berman", to "pay tribute to her departure from the stage at the end of the season." Yuri Possokhov had seen the Danish director Lars von Trier's film *Medea*, and the impression he received prompted him to stage a ballet on this theme for Joanna Berman.

On December 2, 2021, the Ballet Company of the Zakaria Paliashvili Tbilisi Opera and Ballet State Theatre performed Yuri Possokhov's *Medea* for the first time. For the Tbilisi premiere, the choreographer made slight changes in the movements and introduced two little boys dressed in Georgian national costumes (they perform Georgian dance tricks with great enthusiasm) into the ballet – the children of Medea and Jason. It should be noted that this is not Yuri Possokhov's first collaboration with the Georgian ballet company. Two of his ballets – *Sagalobeli* (2008) and *Reflections* (2012) are in the repertoire of the Tbilisi Opera and Ballet Theatre. The ballet *Iconic, Sagalobeli*, created on popular Georgian folk tunes and works of Georgian composers is "a kind of business card, which is often danced both in Georgia and abroad."

A myth never dies, but undergoes constant metamorphosis. Many works of art and literature have been created on the topic of the Argonauts' story and, in particular, the love of the two main characters in this story, Jason and Medea. There is no exact number of them either. However, Rismag Gordeziani, as a great specialist of ancient times, writes: "Medea's character was developed by Euripides, and nothing much could be added to this face." He painted so powerfully the face of a woman who avenges on her husband, deceives, and kills her own





ამ თქმულების ორი მთავარი პერსონაჟის, იასონისა და მედეას სიყვარულის თემაზე ხელოვნებისა და ლიტერატურის უამრავი ნაწარმოებია შექმნილი. მათი ზუსტი სია არც არსებობს. თუმცა როგორც ანტიკური ხანის დიდი სპეციალისტი რისმაგ გორდემიანი წერს: „მედეას ხასიათი დაამუშავა ევრიპიდემა და ამ სახეს ბევრი ველარაფერი დაუმატეს. მან იმდენად ძლიერად დახატა ქმრის შურისმაძიებელი, მოტყუებული, საკუთარი შვილების მკვლელი ქალის სახე, რომ მსოფლიო ლიტერატურამ მედეას სწორედ ევრიპიდესეული ინტერპრეტაცია მიიღო და შეისისხლხორცა“.

იური პოსოხოვიც ამ ინტერპრეტაციის ქარგას მიჰყვება. მის მედეას, როგორც ღვთაებრივი (მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილიშვილია) და მეფური (კოლხეთის მეფის, აიეტის ასულია) სისხლის მქონეს, არ ძალუძს მოკვდავი ქმრის – თუნდაც ბერძენი გმირის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა აიტანოს. ღმერთების მოდგმას იასონი ახალი ქორწილით ვერ დასცინებს. და მედეა კლავს შვილებს, რათა დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას, როცა იასონი არ არსებობდა! ან, პირიქით, ის კლავს შვილებს, რათა იასონმა მედეა ვერასოდეს დაივიწყოს!

გადავხედოთ ბალეტის ისტორიას. ამერიკელი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის, მართა გრემის მედეა (1946) გრძნეული ქალია, რომელიც მრისხანებას, ეჭვიანობასა და შურს შეუპყრია. კარლა ფრაჩის მიერ შექმნილი მედეას სახე (1975, ქორეოგრაფი ჯონ ბატლერი) ვირტუოზი ბალერინას მიერ „დახატულია“. ეკვლის კრიტიკოსი ანა კისელგოფი, პრემიერიდან ერთი წლის

children, that the world literature accepted and embodied the Euripidean interpretation of Medea.

Yuri Possokhov also follows this interpretation. His Medea, being of divine (granddaughter of Helios, the God of the Sun) and royal (daughter of the King of Colchis, Aeëtes) blood, cannot bear the insults inflicted by her mortal husband – even if he is a Greek hero. Jason cannot mock the family of Gods with a new wedding. And Medea kills her children to revert to the state when Jason did not exist! Or, on the contrary, she kills his children so that Jason will never forget Medea!

Let's look at the history of the ballet. American dancer and choreographer Martha Graham portrayed Medea (1946) as a sensual woman who is consumed by rage, jealousy and envy. The image of Medea by Carla Fracci (1975, choreographed by John Butler) is literally "painted" by this virtuoso ballerina. A year after the premiere, dance critic Anna Kisselgoff wrote about this version in *The New York Times* that she considered the Fracci-Baryshnikov dance technique to be the main merit of Butler's work, rather than the attempt to convey an ancient Greek legend. And Marina Aleksidze with her dance (1979, choreographer Giorgi Aleksidze) showed not only one side of Medea, sensual or rejected by her husband, but also showed us how in her, at the time of her husband's infidelity, several women are fighting each other – granddaughter of the God of the Sun, daughter of the King, lover, wife, and mother. Marie-Agnès Gillot's

თავზე, ამ ვერსიის შესახებ New York Times-ში წერდა, რომ ბატლერის ნამუშევრის მთავარ ღირსებად უფრო ფრაჩი-ბარიშნიკოვის ცეკვის ტექნიკა მიაჩნდა, ვიდრე უძველესი ბერძნული თქმულების გადმოცემის მცდელობა. მარინა ალექსიძემ კი თავისი ცეკვით (1979, ქორეოგრაფი გიორგი ალექსიძე) გამოკვეთა მედეას არა მხოლოდ ერთი მხარე, გრძნეული ან ქმრისგან უარყოფილი, არამედ გვიჩვენა ადამიანი, რომელშიც, ქმრის ღალატის უამს, ერთდროულად რამდენიმე ქალი ებრძვის ერთმანეთს: მზის ღმერთის შვილიშვილი, მეფის ასული, შეყვარებული, მეუღლე, დედა. მარი-ანეს ჟილოს მედეა (2004, ქორეოგრაფი ანჟელენ პრელუოკაჟი) სიგიჟის ზღვარზე მყოფი ადამიანია.

ძნელია, როცა ამდენი ცნობილი დადგმა არსებობს, რაიმე ახალი შექმნა. ასევე, ნახევარსაათიან ბალეტში ცეკვის ენაზე გამოთქვა, თუ რაოდენ რადიკალურად გარდაისახებიან არგონავტების მითის პერსონაჟები. მედეათი აღფრთოვანებული იასონი გადაიქცევა გადაღლილ კაცად, რომელსაც კრეონის მეფის ქალიშვილი გამოაცხადებს. აიეტის მოსიყვარულე ასული – მძინვარე ცოლად და დედად, თავის თავს რომ ვეღარ ცნობს, ქმარზე შურისძიების მტკიცე სურვილს რომ ებრძვის. ჩვენი, ადამიანური გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ მედეა ამ ბრძოლაში მარცხდება, თუმცა იური პოსოხოვის მედეა სცენას ქმარზე გამარჯვებულის სახით ტოვებს.

მედეას ფენომენში ჩაწვდომა ქორეოგრაფის შემოქმედების საზომად მიიჩნევა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იური პოსოხოვმა ამ რთულ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა. მისი მედეა უმძიმესი დანაშაულის ჩადენის მომენტშიც კი ამაყი და დედოფლურია. რაც შეეხება „მედეას“ ქორეოგრაფიას, რბილ, ზღვის ნაზი ტალღებივით მოძრაობებს (იასონისა და კრეუსას დუეტი), ზვირთივით წაღვეკავს ბასრი ფორმების ცეკვა (მედეას სოლო, მედეასა და იასონის დუეტი). არანაირი პაუზა. ან სპონტანური მოძრაობა. არც სიუჟეტისადმი აბსტრაქტული მიდგომა. იური პოსოხოვის ქორეოგრაფია ევრიპიდეს სასტიკი სიტყვებისა და მისი ტრაგედიის გმირების განცდების სცენაზე ზუსტი გადმოტანაა.

მედეას შესახებ შექმნილ ბალეტებში მუსიკას გადამწყვეტი როლი ენიჭება, უფრო დიდი, ვიდრე ბალეტის სხვა ელემენტებს: დეკორაციასა და კოსტიუმებს. იური პოსოხოვის „მედეა“ „მორის რაველის ორ ნაწარმოებზე სრულდება (დამდგმელი დირიჟორი პაპუნა ლვანოვიძე). ესენია: „პავანა გარდაცვლილი ინფანტასთვის“ (1899, კომპოზიტორმა ის მეცნატი პრინცესა დე პოლინიაკს მიუძღვნა), რომლითაც იწყება და მთავრდება სპექტაკლი და საფორტეპიანო კონცერტი მარცხენა ხელისთვის (1929-1931). ის რაველს ავსტრიელმა პიანისტმა პაულ ვიტგენშტაინმა შეუკვეთა, რომელმაც მარჯვენა ხელი პირველ მსოფლიო ომში დაკარგა. პირველი ნაწარმოების ნატიფი მელანქოლიურობა, მაშინ როცა, ხშირად, იასონისა და კრეონის

Medea (2004, choreographer Angelin Preljocaj) is a person on the verge of madness.

It is difficult to create something new when there are so many famous productions. It is difficult as well to convey in a half-hour ballet, in the language of dance the radical changes that the characters of the Argonauts' myth are going through. Admired by Medea, Jason turns into an exhausted man who is revived by Creon's daughter. Aeëtes' loving daughter – as a fierce wife and mother, unable to recognize herself anymore, struggling with a strong desire to take revenge on her husband. From our human point of view, it can be said that Medea loses this battle. However, Yuri Possokhov's Medea leaves the scene with a victorious expression on her face.

Understanding the phenomenon of Medea is considered to be a measure of a choreographer's creativity. It can be said with certainty that Yuri Possokhov handled this difficult task perfectly. His Medea is proud and queen-like even in the moment of committing the worst crime. As for the choreography of *Medea* – the soft, gentle sea wave-like movements (duet of Jason and Creusa) are violently swept away by the dance of sharp forms (Medea's solo, duet of Medea and Jason). No pause at all, no spontaneous movements or abstract approach to the story. Yuri Possokhov's choreography accurately conveys Euripides' cruel words and the feelings of the characters of his tragedy to the stage.

In the ballets created about Medea, the music is given a decisive role, greater than other elements of the ballet – scenery or costumes. Yuri Possokhov's Medea is performed on two pieces by Maurice Ravel (stage conductor Papuna Gvaberidze) – Pavane For a Dead Princess (1899, the composer dedicated it to the the Princesse de Polignac, Patron of the Arts), which starts and ends the play, and the Piano Concerto for the Left Hand

მედეა –  
ნუსა ჩეკურაშვილი  
MEDEA –  
NUTSA CHEKURASHVILI







მეფის ქალიშვილის (ამ ბერძენი „ინფანტას“) დუეტს ვნებიანი მუსიკა ახლავს ხოლმე, უნისონშია დავით ანანელის იასონისა და ეკატერინე სურმაგას კრეუსას პლასტიკურ ელემენტურობასა და ჰაეროვნებასთან. ამბის ძლიერი ემოციური დამუხტულობის მიუხედავად, როგორც ყოველთვის, იური პოსოხოვი ერთ-გულია კლასიკურ ბაზაზე აღმოცენებული დახვეწილი მოძრაობების მშვენიერებისა.

კონცერტი რე მაჟორი მარცხენა ხელისთვის კი თითქოს ნუცა ჩეკურაშვილის მედეას დიდი შინაგანი და შემზარავი გადატრიალებების გამოსახატადაა დაწერილი: ქალისა, რომელსაც აღარ ძალუძს „შეჭამოს ჯავრი“, „მიძიმე სევდისგან გაოგნებულა“, ვერ იოკებს „მგზნებარე რისხვას, თუ ვინმე მსხვერპლად არ შეიწირა“, „სიშმაგის ცეცხლში“ იწვის, რადგან შვილებს „მამის ბრალი უნდა აზღვევინოს“... ამ გიგანტური ემოციების წარმოჩენას, რასაც ცისფერისხილიან-თა ღვთაებრიობით ასრულებს ნუცა ჩეკურაშვილი, მუსიკასთან ერთად აძლიერებს ზუსტად მიგნებული განათება (ავტორი ივან ვინოგრადოვი), რომელიც ხან მაღავს და ხანაც აშიშვლებს ბალეტის პერსონაჟების განცდებსა და ფიქრებს; სადა, ლამის ასკეტური დეკორაცია და ბერძნული ყაიდის, სტილიზებული ზურმუხტისფერ-ნარინჯისფერი კოსტიუმები და ნიღბები – ხან სტატიკური, ხანაც პერსონაჟების მდგომარეობის შესაბამისად მოცეკვავე კორდებალეტისთვის და შინდისფერი კაბა მედეასთვის (კოსტიუმების ავტორია ტატიანა ვიუშინსკაია, ასისტენტი ევა ოტი).

...სად მიდის შვილების დახოცვის შემდეგ ღმერთების რჩეული (ზევის მეუღლე ჰერას ხომ მასზე ეჭვიანობა კლავდა) და მათ მიერვე დაწყევლილი ქალი? ამაზე სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ის მშობლიურ კოლხეთში დაბრუნებულა, მამას, აიეტს, შერიგებია და მასთან ერთად უმართია ქვეყანა. ერთ რამეზე კი ყველა თანხმდება: მედეა მარადიული პერსონაჟია და ყოველი ხელოვანი დღესაც თავის მედეას ეძებს.

(1929-1931). The latter was commissioned from Ravel by Paul Wittgenstein, Austrian pianist who lost his right hand in the First World War. The delicate melancholy of the first work, while the duet of Jason and Creon king's daughter (this Greek "Princess") is often accompanied by passionate music, is in unison with the fluid elegance and airiness of David Ananeli's Jason and Eka Surmava's Creusa. Despite the strong emotional charge of the story, as always, Yuri Possokhov is faithful to the beauty of subtle movements emerging from the classical base.

The Concerto in D major for the Left Hand seems to have been written to express the great inner and terrifying upheavals of Nutsa Chekurashvili's Medea: of a woman who is no longer able to "suppress her grief", "stunned by heavy sadness", unable to control "the inciting anger, unless someone is sacrificed", "burns in the fire of rage" because the children must be avenged an "for the fault of the father"... The presentation of these gigantic emotions, performed by Nutsa Chekurashvili with the divinity of the blue-blooded, together with the music, is enhanced by the precisely selected lighting (author Ivan Vinogradov), which sometimes hides and sometimes reveals the feelings and thoughts of the characters of the ballet. There are simple, almost ascetic decorations and the stylized emerald-orange costumes and masks in the Greek style – sometimes static, sometimes depending on the state of the characters for the dancing Corps de ballet and the burgundy dress for Medea (the author of the costumes is Tatiana Vyushinskaya, assistant: Eva Ott).

...Where does the woman who is both cursed and chosen by gods go after killing her children (Hera, wife of Zeus was indeed jealous of her)? There are different versions. According to one of them Medea returned to her native Colchis, reconciled with her father, Aeëtes, and reigned the country together with him. But everyone agrees on one thing – Medea is an eternal character and until now every artist is looking for his or her own Medea.

# ლალი კანდელაკის ბოლო გამოსვლა „დონ კიხოტში“

LALI KANDELAKI'S FINAL PERFORMANCE IN *DON QUIXOTE*

ლალი კანდელაკი პუბლიკისგან განებივრებული მოცეკვავეა. მის სპექტაკლებს არ აკლდა მაყურებელი. იყო ხანგრძლივი ოვაცია, ყვავილები, მილოცვები.

2018 წლის 16 ნოემბერს გამართულმა ბოლო სპექტაკლმა აჩვენა, რომ ბალერინა საუკეთესო ფორმაშია. მაგრამ, ლალიმ გადაწყვიტა გამოსამშვიდობებელი სპექტაკლი სცენაზე პირველი გამოსვლიდან ოცდამერვე წელს ეცეკვა და იმ როლით დამშვიდობებოდა მაყურებელს, რომელშიც იგი ბრწყინავდა უზადო ტექნიკური შესაძლებლობებით და ქარიზმით. „დონ კიხოტში“ ჩელიტას პარტია ლალიმ პირველად 90-იანების დასაწყისში იცეკვა. ცეკვავდა თბილისსა და უცხოეთის სხვადასხვა თეატრის სცენაზე. მაგრამ, ლალის კარიერაში არის გამორჩეული სპექტაკლი, რომელიც არასდროს დაავიწყდება. იაპონიაში 2007 წელს საბალეტო დასის გასტროლი ჩატარდა. ლალი კანდელაკმა „დონ კიხოტში“ ჩელიტას პარტია ბუნკა კაიკანის პრესტიჟული დარბაზის სცენაზე შეასრულა. მას პარტნიორობას უწევდა მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავი, მაშინ ამერიკის ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი ანხელ კორელა. ეს იყო ამ გასტროლის ერთ-ერთი დაუვიწყარი სპექტაკლი.

ლალიმ მაყურებელს ბევრჯერ აჩუქა საბალეტო დღესასწაული. სცენაზე თავი არასდროს დაუმოგავს. საბალეტო სასწავლებლის მესამე კურსზე იყო, როცა გააცნობიერა რომ საკუთარ პროფესიაში შედგა. „მაშინ ვიგრძენი რომ თურმე რაღაც შემიძლია, რაღაცას წარმოვადგენ ამ სფეროში. ძალიან ბედნიერი ვარ რომ ერთი წელი ვმუშაობდი ბატონ ვახტანგ ჭაბუკიანთან, ვიყავი მის კლასში და და საკმაოდ კარგი გაკვეთილები მივიღე მისგან, რაც დღემდე მომყვება“ – ამბობს ლალი.

16 ნოემბერს ლალი კანდელაკმა თავისი ვირტუოზული 32 ფუეტე ბოლოჯერ აჩვენა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეკრებილ მაყურებელს.





ლალი  
კანდელაკი,  
ბროკლინ მაკი  
LALI KANDELAKI,  
BROOKLYN MACK

მის კარიერაში ბოლო ბაზილი ამერიკელი ვარსკვლავი ბროკლინ მაკი იყო. ვაშინგტონის საბალეტო დასის წამყვან სოლისტთან პირველად 2017 წელს, საბალეტო გალა-კონცერტზე, „კორსარის“ პა დე დე იცეკვა.

**ბროკლინ მაკი, ვაშინგტონის ბალეტის წამყვანი**

**სოლისტი:** „ჩემთვის დიდი პატივი იყო ლალისთვის პარტნიორობა გამეწია გამოსამშვიდობებელ „დონ კიხოტში“. არაჩვეულებრივი ბალერინაა და მასთან ერთად სცენაზე გამოსვლა დიდი გამართლება და პრივილეგიაა. არის საიმედო პარტნიორი და უბადლო პროფესიონალი. სცენაზე იცის გაცემაც და მიღებაც. ჩელიტა სწორედ ის როლია, რომელსაც სჭირდება ძლიერი პიროვნება, ხასიათი და არტისტულობა. ლალიც სწორედ ასეთია“.

„ეს დღე ყველასთან დგება, ყველა სფეროში, არა მარტო ხელოვნებაში. უბრალოდ ჩვენთვის, ბალერინებისთვის, ვფიქრობ რომ ეს ძალიან მტკივნეულია, რადგან მთელი ცხოვრება მიჩვეული ხარ სცენას, მიჩვეული ხარ დარბაზის ემოციას, ბედნიერ სახეებს, ტაშს... ამ ყველაფერთან გამოთხოვება, ამისი დაკარგვა და დათმობა ძალიან რთულია. მინდა რომ მაყურებელმა დამიმახსოვროს ისეთი, როგორც ვიყავი“ – გვითხრა ლალი კანდელაკმა სპექტაკლის წინ, როცა ძალიან შევაწუხებთ ჩვენი კითხვებით – ასეთ საუკეთესო ფორმაში მყოფი რატომ ანებებდა თავს ცეკვას.

სცენის შემდეგ მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ის ახლა ახალგაზრდა ბალერინების მომზადებაში მონაწილეობს.

Lali Kandelaki is a celebrated dancer. There is no shortage of spectators for her performances. There are long ovations, flowers, congratulations.

The last performance held on November 16, 2018 showed that the ballerina is in top form. But Lali decided to dance a farewell performance in the twenty-eighth year after her first appearance on the stage. The prima ballerina decided to say goodbye to the audience with the role in which she shone with impeccable technical abilities and charisma. Lali performed the part of Chelita (Kitri) in *Don Quixote* for the first time in the early 90s. She danced on the stages of various theatres in Tbilisi and abroad. But there is one outstanding performance in Lali's career that she will never forget.

In 2007, the Ballet Company toured Japan. Lali Kandelaki danced the part of Chelita in *Don Quixote* on the stage of the prestigious Bunka Kaikan hall. She was partnered by the world ballet star, then the lead soloist of the American Ballet Theatre, Ángel Corella. It was one of the unforgettable performances of this tour. Lali gifted the audience with a ballet feast many times. She never spared herself on the stage. She was in her third year of ballet school when she realized that she excelled in her profession. "Then I felt that I can do something, that I represent something in this field. I am very happy that I worked with Mr. Vakhtang Chabukiani for a year, I was in his class and I received good lessons from him, which I follow to this day," says Lali.

On November 16, 2018 Lali Kandelaki showed her virtuoso 32 fouettés for the last time to the audience gathered at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. The last Basilio in her career was Brooklyn Mack, an American star. For the first time in 2017, at the ballet gala-concert, she performed the Pas de deux from *Le Corsaire* with the leading soloist of the Washington Ballet Company.

Brooklyn Mack, for men Washington Ballet Principal Soloist: "It was an honor to partner with Lali in the farewell performance of *Don Quixote*. She is an extraordinary ballerina and performing on stage with her is a great opportunity and privilege. She is a reliable partner and an unparalleled professional. She is capable of giving and receiving on the stage. Chelita is exactly the role that needs a strong personality, character and artistry. Lali is just like that."

"This day comes to everyone, in all fields, not only in art. Just for us, ballerinas, I think it's very painful, because you are used to the stage all your life, you are used to the emotion of the hall, happy faces, applause... It is very difficult to be challenged with all this, to lose it and give it up. I want the audience to remember me as I was" – Lali Kandelaki told us before the performance, when we bothered her with our questions – why she, in such an excellent shape, would stop dancing. After the stage, a new phase has begun in her life. She is now involved in coaching young ballerinas.

2021 წლის 20 მარტს მინეაპოლისში (მინესოტას შტატი, აშშ) შედგა ფილმის – „საქართველოს სახელმწიფო ბალეტი დღეს“ პრემიერა. ფილმი გადაღებული იქნა "Northrop University of Minnesota"-ს დაკვეთით. ფილმს დიდი წარმატება ჰქონდა ამერიკაში, სადაც ის ონლაინ ფორმატში აჩვენეს. 12 აგვისტოს კი მინესოტაში, ღია ცის ქვეშ, კიდევ ერთი ჩვენება მოეწყო.

2 ივლისს ფილმი ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებით "შერატონ მეტეხი პალასში" იქნა წარმოდგენილი, რომელსაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საზოგადოების და ფილმის გადამღები ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ.

ქართული ბალეტის დღევანდელი მდგომარეობაზე გადაღებული ფილმის ჩვენებას გამოეხმაურა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია. გთავაზობთ ეთერში გადაცემული რეპორტაჟს, რომლის ტექსტი სპეციალურად „არაბესკისთვის“ მომზადდა.

On March 20, 2021, the film *the State Ballet of Georgia Today* was premiered in Minneapolis, Minnesota, USA. The film was commissioned by the Northrop University of Minnesota. Shown online, the film was a huge success in the States. On August 21, 2021 it was shown on Northrop's plaza in a special outdoor screening in Minnesota.

On July 2, the film was shown at Sheraton Metekhi Palace in Tbilisi by the Friends of the Georgian Ballet and was attended by representatives of the diplomatic corps, members of the Friends of the Georgian Ballet and the film crew.

The Georgian editorial office of the Voice of America responded to the screening of the film about the present day of the Georgian ballet. Here is the broadcast report, the text of which was specially prepared for *Arabesque*.

## საქართველოს სახელმწიფო ბალეტი დღეს THE STATE BALLET OF GEORGIA TODAY

ქართლოს შარაშენიძე  
KARTLOS SHARASHENIDZE

„ამერიკის ხმა“  
THE VOICE OF AMERICA

6/06 / 2021

მონტეგებისა და კაპულეტების ტრაგედია, საქართველოს სახელმწიფო საბალეტო დასის სარეპერტიციო დარბაზიდან ამერიკულ სცენაზე უნდა გათამაშებულიყო. მინესოტის უნივერსიტეტის ნორტროპის სცენამდე დასი გასტროლით კანადაში უნდა ჩასულიყო, თუმცა პანდემიამ ყველაფერი რამდენჯერმე შეცვალა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი „ამერიკის ხმასთან“ საუბარში ამბობს, რომ ეს კიდევ ერთი შესაძლებლობა იყო დასი ამერიკელი მაყურებლისთვის ეჩვენებინა. მაგრამ, სამწუხაროდ „რომეო და ჯულიეტას“ დეკორაციებმა, მარტომ იმგზავრა კანადაში და უკან გამოემგზავრა. გასტროლები ჩაიშალა. „ძალიან დამწყდა გული. ამ პროექტზე დიდი ხანი ვმუშაობდით და ძალიან მინდოდა რომ ეს პროგრამა ამერიკაში გვეჩვენებინა“.

გასტროლის პროდიუსერს ოფერ ზაკსს ქართულ საბალეტო დასთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვს. კანადაში დაგეგმილი გასტროლი, ისრაელის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან მისი მეორე ერთობლივი პროექტი უნდა ყოფილიყო.

„საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისი საბალეტო დასი მსოფლიო კლასისაა – გვითხრა ოფერ

The tragedy of the Montagues and the Capulets was supposed to be performed on the American stage coming from the rehearsal hall of the Georgian State Ballet Company. Before taking the stage at the Northrop University of Minnesota, the Company was supposed to go to Canada on tour, but the pandemic changed everything several times.

Nina Ananiashvili, Artistic Director of the Ballet Company of the ballet of Tbilisi Opera and Ballet State Theatre, said in a conversation with the Voice of America that this was another opportunity to show the Company to the American audience. Unfortunately, Romeo and Juliet decorations travelled alone to Canada and back. The tour failed. "I was very saddened. We have been working on this project for a long time and I really wanted to show this program in the States."

The tour producer Offer Zaks has a good experience of cooperation with the Georgian Ballet Company. The planned tour in Canada was supposed to be his second joint project with the Georgian State Ballet after Israel.

"Georgia is a small country, but has a Ballet Company of world class", **Offer Zaks** told us. "We believe that it is one of the best companies in the world. The tour was sup-



I danced on the stages of the best theaters in the world.

კადრი ფილმიდან  
A STILL SHOT  
FROM THE MOVIE

**ზაკმა** მიგვანინა, რომ ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო დასია. გასტროლი 2020 წლის მარტში უნდა შემდგარიყო. პანდემიის გამო მისი გაუქმება მოგვიწია და 2021 წლის აპრილისთვის დავგეგმეთ. ეს გეგმაც ბუნებრივია ვერ შესრულდა. მანამდე ჩემს მეგობარ ნინო ანანიასვილთან, მსოფლიო პრიმა-ბალერინასთან, ამერიკული ბალეტის თეატრის ვარსკვლავთან ერთად გადავწყვიტეთ ქართული ბალეტის შესახებ ფილმი შეგვექმნა“.

ფილმი ამერიკელ მყურებელს, ქართული ბალეტის განვითარების პარალელურად, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდების შესახებ უყვება – მეფისნაცვლის დროიდან პირველ რესპუბლიკამდე და საბჭოთა ოკუპაციიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

**ილია თავბერიძე**, *სცენარის ავტორი*: „თხრობა დავიწყეთ დღევანდელი თავისუფლების მოედნიდან, რომელსაც მისი არსებობის მანძილზე არაერთხელ გადაერქვა სახელი. სახელის ცვლილება ხდებოდა ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული წარსულის შესაბამისად. აქედან დაიწყო ფილმის თხრობაც, რადგან ამ მოედანზე იდგა პირველი საოპერო თეატრი ამიერკავკასიაში, ცნობილი თამამშვეის ქარვასლის შენობაში, რომელიც შემდეგ დაიწვა და აღარ აღადგინეს. შემდეგ აშენდა ის შენობა, რომელშიც დღეს მუშაობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“.

posed to take place in March 2020. Due to the pandemic, we had to cancel it and plan it for April 2021. Naturally, this plan also failed. Before that, together with my friend Nina Ananiashvili, a world-renowned Prima ballerina, and a star of the American Ballet Theatre, we decided to make a film about the Georgian ballet.

The film tells the American audience, along with the development of the Georgian ballet, important episodes from the history of Georgia – from the crown prince to the first republic and to gaining independence from the Soviet occupation.

**Ilia Tavberidze**, *author of the screenplay*: "We started the story from today's Freedom Square, which has been renamed several times during its existence. The name was changed in accordance with the difficult historical past of our country. The narration of the film started from here, because the first opera theatre in Transcaucasia was located on this square, in the building of the famous Tamamshev Caravanserai, which was burnt down and never rebuilt. Then the building in which the Tbilisi Opera and Ballet Theatre operates today was built."

The present-day of the Georgian State Ballet is told in the film along with the history of the Georgian Ballet. This history is part of the history of Tbilisi Opera and Ballet Theatre. The first generation of ballet dancers who grew up in Maria Perini's ballet studio danced on this stage. Among them was Vakhtang Chabukiani. The premiere of the first Georgian ballet was held in this hall on December 29, 1936. The music of the ballet was written by famous Georgian composer Andria Balanchivadze, famous American choreographer George Balanchine's brother.

The producer of the film, Offer Zaks, wanted the audience to learn about Georgia along with the performance of the Company. "A few years ago, I visited Tbilisi," he said in an interview with the Voice of America. "I felt how the history of the country and ballet were connect-



52 | Arabesque N31/32



პალრი ფილმიდან  
A STILL SHOT  
FROM THE MOVIE

Chopiniana

ლანჩივამ დაწერა, ცნობილი ამერიკელი ქორეოგრაფის ჯორჯ ბალანჩინის ძმამ.

ფილმის პროდიუსერს ოფერ ზაკსს სურდა დასის წარმოდგენასთან ერთად მაყურებელს საქართველოს შესახებაც გაეგოთ. „რამდენიმე წლის წინ თბილისში თავდაც გახლდით, – თქვა მან „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში. ვგრძნობდი, როგორ იყო დაკავშირებული ქვეყნის და ბალეტის ისტორია ერთმანეთთან. იქ ყოფნისას აცნობიერებ ქართული კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, მათ შორის საბალეტო ტრადიციის სიღრმეს. ვფიქრობ, ყველაფერი ფილმში კარგად არის წარმოდგენილი. ამერიკულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის ბალანჩინის შესახებ, იციან მის ქართულ წარმომავლობაზე. ჩვენ მიერ გადაღებული ფილმის საშუალებით უკეთ გაიცნობენ კიდევ ერთ ძალიან ცნობილ ქართველ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს ვახტანგ ჭაბუკიანს, რომელმაც ბალეტში მამაკაცის როლი განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა“.

რეჟისორ შალვა შენგელის მიერ გადაღებულ ფილმში, პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი საკუთარი თავბრუდამხვევი კარიერის შესახებაც საუბრობს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამერიკას უკავშირდება.

**შალვა შენგელი, რეჟისორი:** „რამდენადაც მიმზიდველი, ლამაზი, სანახაობრივად შთამბეჭდავია ბალეტი, ცეკვა, სხეულის გრაცია, მინდოდა თხრობაც არ ყოფილიყო ამისგან განცალკევებული. ამიტომ, გადაწყვიტეთ ნინო ანანიაშვილი ყოფილიყო ფილმის მთხრობელი და წამყვანი, რაც, ჩემი აზრით მოუხდა ფილმს“.

საქართველოში 2021 წლის შემოდგომაზე ბალანჩინის ბალეტების მორიგი პრემიერაა დაგეგმილი. პროექტს საქართველოში ამერიკის საელჩო უჭერს მხარს. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, კვლავ იგეგმება „აპოლონ მუსაგეტის“ დადგმა.

ed. While staying there, you realize the depth of the Georgian culture, history, traditions, including the ballet tradition. I think everything is well conveyed in the film. American society knows very well about Balanchine, they know about his Georgian origin. Through the film made by us, they will get to know another very famous Georgian dancer and choreographer, Vakhtang Chabukiani, who took the role of a man in a ballet to a special height."

In the film directed by Shalva Shengeli, Prima Ballerina Nina Ananiashvili talks about her dizzying career, an important part of which is connected to the States.

**Shalva Shengeli, Film Director:** "The ballet dances, the graciousness of body is so attractive, beautiful, and spectacularly impressive, that I wanted the narrative not to be separated from it. Therefore, we decided to have Nina Ananiashvili as the narrator and presenter of the film, which, in my opinion, excellently suited the film".

Another premiere of Balanchine's ballets is planned in Georgia in the fall of 2021. The project is supported by the American Embassy in Georgia. After a pause of several years, it is planned to stage *Apollon Musagète* again on the stage of the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

# მიხაილ ბარიშნიკოვი თბილისში

## MIKHAIL BARYSHNIKOV IN TBILISI



თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს მსოფლიო ბალეტის ლეგენდა მიხაილ ბარიშნიკოვი ორჯერ სტუმრობდა.

World ballet legend Mikhail Baryshnikov has visited the Tbilisi International Theatre Festival twice.



2018 წლის 20 სექტემბერს მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე, ლეგენდარულმა მოცეკვავემ, ქორეოგრაფმა და მსახიობმა მიხაილ ბარიშნიკოვმა სპექტაკლი „ბროდსკი/ბარიშნიკოვი“ წარმოადგინა. სპექტაკლი ერთი მსახიობის წარმოდგენაა და ნობელის პრემიის ლაურეატის, პოეტ იოსიფ ბროდსკის ლექსების მიხედვითაა დადგმული.

On September 20, 2018, the legendary dancer, choreographer and actor Mikhail Baryshnikov presented the play *Brodsky/Baryshnikov* on the Big Stage of the Marjanishvili Theatre. The play is a one-man show based on the poems of Nobel prize laureate Joseph Brodsky.



ბარიშნიკოვი და ბროდსკი მეგობრები იყვნენ. მათ ერთმანეთი 1974 წელს ნიუ-იორკში გაიცნეს და ბროდსკის სიკვდილამდე მეგობრობდნენ. სპექტაკლს „ბროდსკი/ბარიშნიკოვი“ ლატვიაში, ისრაელში, იტალიაში, აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში დიდი წარმატება ხვდა წილად.

Baryshnikov and Brodsky were friends. They met in New York in 1974 and remained friends until Brodsky's death. The play *Brodsky/Baryshnikov* was a great success in Latvia, Israel, Italy, the USA, England, and Germany.



ფესტივალზე სტუმრად მყოფი მიხაილ ბარიშნიკოვი, სპექტაკლების წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ეწვია და საბალეტო დასს შეხვდა. გენიალურმა მოცეკვავემ გაიხსენა 1970-იანი წლები, როცა ის ჩვენი თეატრის სცენაზე ცეკვავდა და ვერა წიგნაძეს უწევდა პარტნიორობას „ჟიზელში“.

Mikhail Baryshnikov, who came as a guest to the festival, visited the Tbilisi Opera and Ballet Theatre before the performances and met the ballet troupe. The genius of dance remembered the 1970s when he danced on the stage of our theatre and partnered with Vera Tsiganova in the ballet *Giselle*.

მიხაილ ბარიშნიკოვი თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს ცნობილ რეჟისორთან იან ფაბრისთან ერთად 2021 წელსაც ეწვია. ბარიშნიკოვი და ფაბრი ფესტივალზე მათი მხატვრული ინსტალაცია-ფილმის „არც ერთხელ“ ჩვენებას დაესწრნენ.

Mikhail Baryshnikov visited the Tbilisi International Theatre Festival together with famous director Jan Fabre in 2021. Baryshnikov and Fabre attended the screening of their art installation with film *Not Once* at the International Theatre Festival in Tbilisi.

2021 წლის 21 ნოემბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიხაილ ბარიშნიკოვი ჯორჯ ბალანჩინის ქორეოგრაფიის საღამოს დაესწრო. სპექტაკლის დაწყების წინ ლეგენდარული მოცეკვავე საბალეტო დასს შეხვდა და წარმატებული სპექტაკლი უსურვა.

On November 21, 2021, Mikhail Baryshnikov attended the Evening of George Balanchine's Choreography at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Before the start of the performance, the legendary dancer met the ballet troupe and wished them a successful performance.

ეს ფოტოები მიხაილ ბარიშნიკოვის თეატრში სტუმრობას და თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დროს გამართულ შეხვედრებს ასახავს.

These photos depict Mikhail Baryshnikov's visit to the Theatre and the meetings held during the Tbilisi International Theatre Festival.

ფოტომასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით თბილისის თეატრალურ ფესტივალს

We thank the Tbilisi Theatre Festival for providing the photographs

**ნინო ანანიაშვილი – „ევროპა ნოსტრას“ საქართველოს საპატიო პრეზიდენტი**

2019 წლის 19 აპრილს, „ევროპა ნოსტრას“ გენერალური მდივანმა ქალბატონმა სნეშკა ქაიდვლიგ-მიხაილოვიჩმა პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილს „ევროპა ნოსტრას“ საქართველოს საპატიო პრეზიდენტად დაასახელა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა ევროპის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი ჯილდოს „ევროპა ნოსტრას“ გამარჯვებული პროექტები საქართველოდან.

**NINA ANANIASHVILI – HONOURARY PRESIDENT OF EUROPA NOSTRA GEORGIA**

On April 19, 2019, the General Secretary of *Europa Nostra* Ms. Sneška Quaedvlieg-Mihailović named the Director of the Ballet Company of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre, Prima Ballerina Nina Ananiashvili as the Honourary President of *Europa Nostra* Georgia. At the festive evening held in the Tbilisi Opera and Ballet State Theatre, the European Union's highest award in the field of European cultural heritage, *Europa Nostra*, was presented to laureates from Georgia.

**ნინო ანანიაშვილს INTERNATIONAL ACTION ART-ის სიგელი და მედალი გადაეცა**

2021 წლის 7 ივნისს იოანეს მარონიტისმა, საბერძნეთის (პირეოსის და კუნძულების) UNESCO-ს კლუბების პრეზიდენტმა, საერთაშორისო ორგანიზაცია INTERNATIONAL ACTION ART გენერალურმა პრეზიდენტმა ნინო ანანიაშვილს საერთაშორისო ორგანიზაციის INTERNATIONAL ACTION ART -ის საპატიო წევრის სიგელი და მედალი გადასცა. იოანეს მარონიტის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საბალეტო დასის რეპეტიციას დაესწრო.

**NINA ANANIASHVILI WAS AWARDED CERTIFICATE AND MEDAL OF INTERNATIONAL ACTION ART**

On June 7, 2021, Mr. Ioannis Maronitis, President of the Club for UNESCO of Piraeus and Islands, and General President of the international organization *International Action Art* presented Nina Ananiashvili with a certificate and medal for the honorary membership of *International Action Art*. Mr. Ioanes Maronitis attended the rehearsal of the Ballet Company at the Tbilisi Opera and Ballet Theatre.

**ნინო ანანიაშვილს PREMIO CAPRI DANZA INTERNATIONAL გადაეცა**

2022 წლის 4 სექტემბერს, იტალიის კუნძულ კაპრიზე, ნინო ანანიაშვილს ყოველწლიური საერთაშორისო პრემია Premio Capri Danza International გადაეცა. დაჯილდოების ცერემონია Certosa San Giacomo-ში გაიმართა. სხვადასხვა წლებში ეს ჯილდო მიღებული აქვთ ბალეტის სამყაროში ცნობილ სახელებს: კარლა ფრაჩის, ვიქტორ ულატეს, ლუჩიანა სავინიანოს, ვლადიმირ ვასილიევის და სხვებს. დაჯილდოების შემდეგ გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები ნინო სამადაშვილი, ეკატერინე სურმავა და ოსკარ ფრემი.

**PREMIO CAPRI DANZA INTERNATIONAL WAS AWARDED TO NINA ANANIASHVILI**

On September 4, 2022, on the Italian island of Capri, Nina Ananiashvili was awarded the annual international prize *Premio Capri Danza International*. The award ceremony was held at Certosa San Giacomo. Over the years, this award was received by famous names in the ballet world: Carla Fracci, Victor Ullate, Luciana Savignano, Vladimir Vasiliev, and others. After the award ceremony, a gala concert was held, in which leading soloists of Tbilisi Opera and Ballet Theatre Nino Samadashvili, Ekaterine Surmava, and Oscar Frame took part.



**გალა კონცერტი „ნურიევი – ლეგენდა და მემკვიდრეობა“**

2022 წლის 5 სექტემბერს ლონდონის ისტორიულ სამეფო თეატრში – Theatre Royal Drury Lane გაიმართა გალა კონცერტი „ნურიევი – ლეგენდა და მემკვიდრეობა“. მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები, ლეგენდარული მოცეკვავის რუდოლფ ნურიევის ხსოვნის აღსანიშნად შეიკრიბნენ. გალა-კონცერტზე სპეციალური საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო საქართველოს სახელმწიფო ბალეტის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

**GALA CONCERT NUREYEV LEGEND AND LEGACY**

On September 5, 2022, the gala performance *Nureyev Legend and Legacy* was held in London's historic theatre – the Theatre Royal Drury Lane. World ballet stars gathered to commemorate the legendary dancer Rudolf Nureyev. Nina Ananiashvili, Artistic Director of the State Ballet of Georgian was invited to attend as a special guest of honour.



2018

**ომანი.** 8, 9 და 10 ნოემბერს, მასკატის სამეფო თეატრში საბალეტო დასმა წარმოდგინა პიოტრ ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“. პრალის ფილარმონიის ორკესტრს ალევტინა იოფე დირიჟურობდა.

2019

**უკრაინა.** 31 ოქტომბერს კიევის კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში წარმოდგენილი იქნა თანამედროვე ქორეოგრაფიის პროგრამა: ირუი კილიანის „დაცემული ანგელოზები“, „პეტიტ მორტ“, „ექვსი ცეკვა“ და იური პოსოხოვის „საგალობელი“.

**ჩინეთი.** 16–29 ნოემბერს ქალაქებში შანჰაიში, ანშანში, ქსიამენში, ფოშანში პიოტრ ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ იქნა წარმოდგენილი. ჩინეთში დასმა ექვსი სპექტაკლი გამართა.

**ესპანეთი.** 14–27 დეკემბერს ქალაქებში – ლოგრონიო, სან-სებასტიანი, ბარბასტრო, სარაგოსა, ტერასა, მანრესა, ვალენსია წარმოდგენილი იქნა „ალექსანდრ კრეინის „ლაურენსია“, პიოტრ ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ და მიხაილ ფოკინის ერთმოქმედებიანი ბალეტები „ფასკუნჯი“ და „შოპენიანა“. გასტროლის ბოლო ორი სპექტაკლი ვალენსიის კონგრესის სასახლეში (Palacio Congressos) გაიმართა.

2021

2021 წლის 7 ნოემბერს, **თელავის** ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში საბალეტო დასმა თელაველ მყურებელს „მაკნატუნა“ აჩვენა. საბალეტო დასის თელავში გასტროლი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დააფინანსა, კონკურსის – „კლასიკური მუსიკის კონცერტებისა და საბალეტო წარმოდგენების ხელშეწყობა თბილისსა და რეგიონებში“ ფარგლებში.

2022

**დუბაი.** დუბაის ოპერის თეატრში, 9, 10 და 11 სექტემბერს წარმოდგენილი იქნა სერჯი პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ (სულ ხუთი სპექტაკლი), 13 და 14 სექტემბერს კი ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრავიატა“.

გასტროლში მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საოპერო და საბალეტო დასები, ორკესტრი და გუნდი. თეატრის ორკესტრს მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი გავრიელ ჰაინე (აშშ) დირიჟურობდა.

**ესპანეთი.** 20 სექტემბერიდან 3 ოქტომბრამდე ქალაქებში – ბარსელონაში, ალიკანტესა და სარაგოსაში საბალეტო დასმა ესპანელ მყურებელს წარუდგინა სუიტა ბალეტებიდან „გედების ტბა“ და „ჟიბელი“.



2018

**Oman.** On November 8, 9 and 10, the Ballet Company presented *The Sleeping Beauty* by Pyotr Tchaikovsky at the Royal Opera House Muscat. Alevtina Ioffe conducted the Prague Philharmonic Orchestra.

2019

**Ukraine.** On October 31, the Kyiv International Centre of Culture and Art presented a program of contemporary choreography – Jiří Kylián's *Falling Angels*, *Petite Mort*, and *Sechs Tänze*, and Yuri Possokhov's *Sagalobeli*.

**China.** *Swan Lake* by Pyotr Tchaikovsky was performed in the cities of Shanghai, Anshan, Xiamen, and Foshan between November 16–29. The Company presented six performances in China.

**Spain.** On December 14–27, in the cities of Logroño, San Sebastian, Barbastro, Zaragoza, Terrassa, Manresa, Valencia, Alexander Krein's *Laurencia*, Pyotr Tchaikovsky's *The Nutcracker* and Mikhail Fokine's one-act ballets *The Firebird* and *Chopiniana* were presented. The last two performances of the tour were held at the Congress Palace (Palacio de Congressos) in Valencia.

2021

On November 7, 2021, the Ballet Company presented *The Nutcracker* to the **Telavi** audience at the Vazha-Pshavela Telavi State Professional Drama Theatre. The tour of the Ballet Company to Telavi was financed by the Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia within the framework of the competition Promotion of Classical Music Concerts and Ballet Performances in Tbilisi and the Regions.

2022

**Dubai.** On September 9, 10 and 11, Sergey Prokofiev's ballet *Romeo and Juliet* was presented, and on September 13 and 14, Giuseppe Verdi's opera *La Traviata* (five performances in total) was held. The Opera and Ballet Company, Chorus and Orchestra of the Tbilisi Opera and Ballet Theatre participated in the tour. The world famous conductor Gavriel Heine (USA) conducted the Orchestra.

**Spain.** From September 20 to October 3, in the cities of Barcelona, Alicante and Zaragoza, the Ballet Company presented the suite from the ballets *Swan Lake* and *Giselle* to the Spanish audiences.

**საქართველო ბალეტი**  
*საქართველოს სახელობის*



*Friends of*  
**THE GEORGIAN BALLET**

სეზონი **| 7 |** SEASON

დიდი მადლობა აშშ-ის ელჩს კელი დეგნანს მხარდაჭერისთვის  
 Thank you very much to U.S. Ambassador Kelly C. Degnan for her support

ჯიმს, შონდა და მინა იულინები ჯირემი, კარენ, დევიდის, ლუსი, მადელინ გეასილიანი	<b>ოქროსი GOLD FAMILY</b>	JAMES, SHONDA AND MINA ULIN JEREMY, KAREN, DAVIS, LUCY, MADELEINE GASKILL
ედვარდ და დანა რაუპები ჩონსი და პოლ როჯიანკოები ანეტ ჯენსენი და ნილ ვაინსტინი ბევრლი ჰუვერი და კრის ანდერსონი სარა კემეცსეი და ჰანს გუტბროდი მარგრეტ შმიდტი და იოჰანეს ვერნერი	<b>ოქროსი GOLD COUPLE</b>	EDWARD AND DANNA RAUPP CHAUNCIE AND PAUL RODZIANKO ANNETTE JENSEN AND NEIL WEINSTEIN BEVERLY HOOVER AND CHRIS ANDERSON SARA KEMECSEI AND HANS GUTBROD MARGRET SCHMIDT AND JOHANNES WERNER
ჯოან როე ნინო ლაშხი მაკა გოცირიძე ენდრუ თორნჰილი მაკა გოგია სოფია პანჯიკიძე პამელა ჰლივა-ოლივერი ხათუნა ტსხადაძე კამელ იასილი იური კლიუევი ნინო ხელაძე კრისტოფერ გრინფილდი სტეფანო კრეცენცი ორსოლია საროსი	<b>ოქროსი GOLD INDIVIDUAL</b>	JOANNE ROE NINO LASHKHI MAKA GOTSIRIDZE ANDREW THORNHILL MAKA GOGIA SOPHIE PANJIKIDZE PAMELA HLYWA-OLIVER KHATUNA TSKHADADZE KAMEL YASSILI YURIY KLYUEV NINO KHELADZE CHRISTOPHER GREENFIELD STEFANO CRESCENZI ORSOLYA SAROSSY
დევიდ და ბონი სმიტები გილს და ლომანგ კარასოები საბინე მაჰლი და ერიკ გურლანი ანა კორშია და ზურა ლომინაძე ბეატრიქს და ჟავიერ პილეგანდი	<b>ვერცხლის SILVER COUPLE</b>	DAVID AND BONNIE SMITH GILLES AND LOMANG CARASSO SABINE MACHL AND ERIC GOURLAN ANA KORSHIA AND ZURA LOMINADZE BEATRIX AND XAVIER PILLEGAND
ჟელე-ვერონიკ ვიელი ნანა ჯანაშია მიშელ განიონ ბილი ნინა ტსაგარელი კატარინა ტიდსტრომი ელენა როტუნდუ ოია ათაკან გუვენ კათერინ ბრუმველი რობერტ ალმოსდი	<b>ვერცხლის SILVER INDIVIDUAL</b>	JOELLE-VERONIQUE VIEL NANA JANASHIA MICHELLE GAGNON BYL NINA TSAGARELI KATARINA TIDESTROM ELENA ROTUNDU OYA ATAKAN GUVEN CATHERINE BRUMWELL ROBERT ALMOSD

**სტიპენდიის სპონსორები / SCHOLARSHIP SPONSORS**

დანიელე მუილი	DANIELLE MEUWLY
ედვარდ და დანა რაუპები	EDWARD AND DANNA RAUPP
კრისტოფერ გრინფილდი	CHRISTOPHER GREENFIELD
ჩონსი და პოლ როჯიანკოები	CHAUNCIE AND PAUL RODZIANKO
სტეფანო კრეცენცი	STEFANO CRESCENZI

**სპონსორები / SPONSORS**

LEXUS საქართველო	LEXUS GEORGIA
შატო მუხრანი	CHATEAU MUK HRANI
თელიანი ველი	TELIANI VALLEY

დიდი მადლობა ყველა ჩვენ მემობარს და მხარდაჭერს!  
 THANK YOU VERY MUCH TO ALL OF OUR FRIENDS AND SUPPORTERS!

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვწეროთ / For additional information, please email:  
[friends.georgianballet@gmail.com](mailto:friends.georgianballet@gmail.com)

